# იმედი +

ყოველთვიური ჟურნალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

№ 10 (58) ოქტომბერი 2015წ.



იკითხეთ ჟურნალი „იმედი +"



*კავშირი „მშობლების თანადგომას“ ბენეფიციერთა ნამუშევრები*

ISSN 1987-7161
977198771600

**მთავარი რედაქტორი**

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 58 87
info.imediplus@gmail.com

**რედაქტორი**

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

**დიზაინერი**

მეგი ლაფაჩი
555 97 42 43

**გამომცემელი**

კავშირი „იმედი პლიუსი“

**დამფუძნებლები**

**თეიმურაზ მიქიაშვილი**
**კარლო მუშკუდიანი**
**ალექსი მუშკუდიანი**
**გიგი მუშკუდიანი**
**მიხეილ მიქიაშვილი**

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ქ.თბილისი, 0179, ზ.ფალიაშვილის ქ. N47ა, მე-2 სადარბაზო, ბინა 12.
0 800 900 902
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com
ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში. თბილისი, 0163, ჩუბინაშვილის ქ.N50

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო..... 2
თბილისის მერია მხარს უჭერს პროექტს „ახალი მზიური“ ...... 3
ომბუცმენმა შშმ პირთა კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საბჭო წარადგინა ......... 3
ლია ქიმერიძე სასამართლოს გადაწყვეტილებით თავის სამსახურს დაუბრუნდა......... 4
ხელოვნება ინტეგრაციისათვის......... 4
შშმ პირთათვის საინფორმაციო, გასართობი და სხვა პროგრამები მიუწვდომელია ......... 5
ბინაზე მოვლის საპილოტე პროგრამას იწყება......... 6
ბექა გოზალიშვილს ღირსების ორდენი გადაეცა ......... 6
ირაკლი ღარიბაშვილი „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ თავმჯდომარეს, გიორგი ძნელაძეს შეხვდა.. 6
აქცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო უფლების მხარდასაჭერად ......... 7
ადამიანი, რომელმაც უსინათლოთათვის ვებგვერდები აალაპარაკა - იცნობდეთ ლადო ურდულაშვილს!......... 7
შშმ პირებზე ზრუნვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა ჩვენგანის მოვალეობაა ......... 9
კვლავ „უყურადღებოდ მიტოვებულნი“ ......... 10
მეტყველების განვითარება და დარღვევის ფორმები ......... 13
ნიჭიერის ცხოვრება „ნიჭიერის„ შემდეგ ......... 15
ნეიროგანვითარების ცენტრი ......... 16
სარეაბილიტაციო ცენტრი ,,მზის სივრცე“......... 19
საჯარო ლექცია ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდასაჭერად ......... 20
უცნობი მოძრაობის ისტორია......... 21
დიდი მადლობა მასწავლებლებო!......... 23
მაინტერესებს, ვის ეხება ამ საკითხის გადაწყვეტა ......... 24
როგორ ვასწავლოთ ბავშვს აზრის „დალაგებულად“ გადმოცემა და როგორ განვუვითაროთ თხრობის ნიჭი ......... 24
გაიცანით პაბლო: პირველი მასწავლებელი დაუნის სინდრომით......... 25
დავიცვათ ჩვენი საარჩევნო უფლებები ......... 26
მნიშვნელოვანი ცვლილება კანონში - პენსიონერები სამსახურში რჩებიან! ......... 27
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები......... 28
ქართველ პარამკლავჭიდელთა ტრიუმფი......... 30
მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა ეტლით მოსარგებლე მოფარიკავემ ვერცხლი მოიპოვა......... 30
ამპუტანტ ფეხბურთელთა შორის საქართველოს ჩემპიონატი ......... 31
მოწვევა პარაოლიმპიურ თამაშებში......... 31
შაქრო ჩაკვეტაძე სმენადაქვეითებულთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა ......... 32
უნიკალური საათი უსინათლოებისთვის ახალგაზრდა ქართველი გამომგონებლებისგან ......... 32

**ჟურნალი გამოდის „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭდვა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან
ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

ახალი ამბები

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით, მომავალი წლების მნიშვნელოვან პრიორიტეტად კოხლეარული იმპლანტის მქონე პირთა განათლებისა და რეაბილიტაციის კუთხით ეფექტური სერვისების დანერგვა განისაზღვრა.

აღნიშნულ საკითზე სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროების, ნორვეგიის ადმინისტრაცის, აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრის, ორგანიზაცია „კინდ-სმენის„, პროექტის: „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში„ წარმომადგენელთან და უცხოელ ექსპერტებთნ უკვე გაიმართა, რაც მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდება.

შეხვედრის შედეგად რამდენიმე არსებითი საკითხი გამოიკვეთა, რომლებიც რეაგირებას საჭიროებს: კერძოდ, მეტყველების თერაპევტების დაბალი კვალიფიკაცია და პროფესიონალების სიმცირე; მშობელთა განათლება და ინფორმირება კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის, ყოველდღიური ცხოვრების და განათლების მიღების საკითხებზე; ბილინგვური მიდგომა კოხლეარული იმპლანტის მქონე პირთა განათლების პროცესში; შესაბამისად აღჭურვილი კლასები; სწორი და თანმიმდევრული საინფორმაციო კამპანია კოხლეარული იმლანტაციის მოსამზადებელ და შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით.

ნორვეგიელი სპეციალისტების მიერ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კოხლეარული იმპლანატაციის ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაციის პროცესის სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაზე, რასაც სასურველი შედეგის მიღწევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სპეციალისტების მხრიდან ასევე ფოკუსში მოექცა სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ადრეული იდენტიფიკაციის საკითხი, რათა იმპლანტაცია ადრეულ ასაკში განხორციელდეს . აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პირის იდენტიფიკაციისთანავე, დაიგეგმოს სათანადო სერვისები სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის. ამასთან, კოხლეარული იმპლანტის მქონე მოსწავლეებისთვის სკოლებში შეიქნას შესაბამისი გარემო.

შეხვედრის შედეგად, მიღწულ იქნა შეთანხმება, რომ უმოკლეს ვადებში განხორციელდეს მეტყველების თერაპიის მიმართულებით სასწავლო პროგრამების განვითარება.

ნორვეგიელი დონორის დამხმარებით, პირველ ეტაპზე აღიჭურვება რამდენიმე კლასი, სადაც განათლებას კოხლეარული იმპალნტის მქონე პირები იღებენ. გარდა ამისა, განხორციელდება კვალიფიციური საინფორმაცი ბუკლეტის მომზადება მშობლებისათვის.

რეაბილიტაციის კომპონენტის დახვეწასთან და მშობლების მხარდაჭერის სერვისების შექმნასთან დაკავშირებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალრური დაცვის სამინიტროსთან აქტიური განხილვები ინტენსიურად გაგრძელდება.

https://www.facebook.com/mes.gov.ge

## თბილისის მერია მხარს უჭერს პროექტს „ახალი მზიური“




თბილისის მერია მხარს უჭერს პროექტს - „ახალი მზიური“, რომელიც საზოგადოება „მზიანის“ ინიციატივით დაიწყო. „მზიურის„ ტერიტორიაზე მერიის ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა პროექტის ავტორთან ერთად, კაფისა და ამფითეატრის აზომვითი ნახაზები შეადგინეს. პროექტის ფარგლებში „მზიური„ ახალ სიცოცხლეს შეიძენს და მისი ტერიტორია ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. „ახალი მზიურის“ იდეა „მზის ფესტივალის“ დამაარსებელსა და ორგანიზატორს, ფოტოგრაფ ანა გოგუაძეს ეკუთვნის - „ჩვენ გვინდა მზიური იქცეს სივრცედ, სადაც ყველა ასაკის და შესაძლებლობის ადამიანი შეძლებს მოსვლას და დასვენებას. თუკი მერიის მხარდაჭერა გვექნება, სპონსორების დახმარებით ავამუშავებთ დაკეტილ კაფეს, რომელიც იქნება სოციალური პასუხისმგებლობის და არ იქნება ორიენტირებული მოგებაზე. დამონტაჟდება პანდუსები, უსინათლოებისთვის გაკეთდება ბილიკები. ასევე გაკეთდება ამფითეატრი, სადაც მოეწყობა კინოჩვენებები, კონცერტები, სპექტაკლები. სეზონის მიხედვით გაიმართება შემეცნებითი ღონისძიებები,„-ამბობს ანა გოგუაძე. თბილისის მერია უერთდება საზოგადოების ინიციატივას „მზიურის„ განახლებასთან დაკავშირებით და გამოთქვამს მზადყოფნას მოლაპარაკებები გამართოს პროექტის ორგანიზატორებთან, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეირჩეს ის ორგანიზაციები, რომლებიც „მზიურის გაცოცხლების„ პროექტში ჩაერთვებიან. გასული საუკუნის 1970-იანი წლების მიწურულს პრესაში გამოქვეყნდა ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის სტატია „ოცნებას კაცი არ მოუკლავს„. სტატიაში მწერალი მდინარე ვერეს ხეობაში ბავშვთა ქალაქის მშენებლობაზე ოცნებობდა. პარკის პროექტზე არქიტექტორთა მთელი ჯგუფი მუშაობდა. პარკი 1982 წელს გაიხსნა. ნოდარ დუმბაძე - „ვისაც ეს წერილი ღიმილს მოჰგვრის, ვთხოვ, თითო აგური იშოვოს, მოიტანოს და მდინარე ვერეს ხეობაში დადოს. მერე ნახონ, ეს ჩვენი ოცნების ქალაქი თუ ნება-ნება, თანდათან ყველა ჩვენთაგანის მეცადინეობით არ აშენდეს. სხვისი არ ვიცი და მე კი სიამოვნებით გავხდებოდი ამ მზიურ ქალაქის ყველაზე ხანდაზმული მოქალაქე. შეიძლება ეგ საქმე არც ისე იოლი იყოს, როგორც მე დავხატე, მაგრამ არ არის სავალდებულო, ჩვენ მიერ დაწყებული საქმე ჩვენ დავამთავროთ, მთავარია, ჩვენ დავიწყოთ.“

## ომბუდსმენმა შშმ პირთა კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საბჭო წარადგინა

სოფო აფციაური



24 სექტემბერს, სახალხო დამცველმა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის საბჭოს შემადგენლობა დაასახელა და საბჭოს წევრებთან პირველი სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. საბჭოს მუდმივი წევრები იქნებიან სახალხო დამცველი და მისი მოადგილეები; ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლები - შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირინე ობოლაძე; გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ეკატერინე სხილაძე; პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტიდან ნიკა კვარაცხელია; ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მაია გედევანიშვილი და თანასწორობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი მაკა გიოშვილი. საბჭოს მუდმივის გარდა, მოწვეული წევრებიც ეყოლება, რომლებიც სპეციალურად საბჭოსთვის შემქნილი და დამტკიცებული (2015 წლის 21 ივლისს) დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეარჩიეს: საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირის ხელმძღვანელი გიორგი გოგატიშვილი; ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლების გაერთიანება „მოძრაობა ცვლილებებისათვის“ წარმომადგენელი ლია ტაბატაძე; გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი მაგული შაღაშვილი; ორგანიზაცია „მარიანის“ წარმომადგენელი მარიამ მიქიაშვილი; ორგანიზაციიდან „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ნინო აღდგომელაშვილი; საბჭოს მოწვეული წევრია ქეთევან ჭიღლაძე. ირინე ობოლაძემ, რომელიც ომბუდსმენის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ-

გაგრძელება →



თა უფლებების დეპარტამენტის ხელმძღვანელია, დეტალურად ისაუბრა დებულებით განსაზღვრულ საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებზე. კონკრეტულად დებულება კი საბჭოს შემადგენლობას, მათი არჩევის კრიტერიუმებს, უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხსა და წევრების საქმიანობას განსაზღვრავს. ინტერესთა კონფლიქტის არქონის გამო, დებულებით განსაზღვრულია, რომ საბჭოს წევრი არ უნდა იყოს იურიდიული პირი და სერვისის მიმწოდებელი. ასევე, მნიშვნელოვანია წევრების გამოცდილება, რეპუტაცია და მიუკერძოებლობა. საბჭოს სხდო-



მები თვეში ორჯერ აუცილებლად უნდა ჩატარდეს, საჭიროების შემთხვევაში კი -ომბუდსმენის დასაბუთებული წერილის საფუძველზე. გადაწყვეტილება კენჭისყრაზე უმრავლესობით მიიღება, ხმების გაყოფის შემთხვევაში, სახალხო დამცველის ხმა გადამწყვეტია. სათათბირო ორგანოს საქმიანობა არა არის ანაზღაურებადი. სახალხო დამცველისა და საბჭოს წევრების შეხვედრას დღეს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში საშა გრაუმანი ესწრებოდა. გრაუმანის თქმით, საქართველოში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 10 ათასი შშმ ბავშვია რეგისტრირებული, ანუ ბავშვების 1%, თუმცა ნებისმიერ საზოგადოებაში ეს მაჩვენებელი 2.5%-ია, რაც ნიშნავს, რომ დაახლოებით 15 ათასი ბავშვი სისტემის გარეთაა და არანაირ მომსახურებას არ იღებს. „ბავშვებთან დაკავშირებით, პირ-



ველ რიგში სტიგმასთან ბრძოლაა საჭირო, მეორე მთავარი პრობლემა ოჯახის თანადგომაა, ამიტომ კარგი იქნება, თუ შინ მოვლის პროგრამა გაფართოვდება და დაიხვეწება. გარდა ამისა, ქვეყანაში ისევ სამედიცინო მოდელია დამკვიდრებული. მნიშვნელოვანია, შშმ ბავშვების იდენტიფიკაცია, რომ მათი საჭიროებები ადრეულ ასაკში გამოვლინდეს და ჩარევაც ეფექტიანი იყოს. UNICEF-ის რეკომენდაციაა, რომ მთავრობამ ამუშაოს ალტერნატიული სერვისები, ბავშვები აღარ უნდა რჩებოდნენ ბავშვთა დიდ დაწესებულებებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩვილ ბავშვთა სახლი“, - აღნიშნა საშა გრაუმანიმ. შეხვედრის ბოლოს საბჭოს მოწვეულმა წევრებმა სახალხო დამცველთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვეს.

## ლია ქიმერიძე სასამართლოს გადაწყვეტილებით თავის სამსახურს დაუბრუნდა



ლია ქიმერიძე სასამართლოს გადაწყვეტილებით თავის სამსახურს დაუბრუნდა. ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და 32 წელი საქართველოს ფოსტის თანამშრომელი იყო. სამსახურიდან ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გაათავისუფლეს.

ფოსტის წინააღმდეგ ლია ქიმერიძის დავის შესახებ გადაცემა სტუდია „მონიტორმა“ რამდენიმე თვის წინ მოამზადა: http://bit.ly/1j4H1Cu

# ხელოვნება ინტეგრაციისათვის

თეიმურაზ მიქიაშვილი



29 სექტემბერს, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში, გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირის „მშობლების თანადგომა„ ბენეფიციართა მიერ თექის, თიხის და სხვადასხვა მასალისგან დამზადებული აქსესუარების, სუვენირებისა და ნახატების გამოფენა. აღნიშნული გამოფენა კავშირმა პროექტის ფარგლებში „ხელოვნება ინტეგრაციისათვის„ განახორციელა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, რომლის მიზანი იყო იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების აქტივაცია, საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, რომელთაც არ უწევთ ხშირად საზოგადოებაში ურთიერთობა. საზოგადოებამ არ იცის მათი რეალური შესაძლებლობები და შესაბამისად ვერც იღებს თავის სრულფასოვან წევრებად. პროექტის ფარგლებში შექმნილი აქ გამოფენილი ნამუშევრები თვალნათელი მაგალითი იყო საზოგადოებისათვის, რომ პრობლემა შეზღუდული შესაძლებლობა კი არ არის, არამედ ის გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და თუ სათანადო ხელშეწყობა ექნებათ, მათაც შეეძლებათ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა წარმოდგენილი გამოფენა.

კავშირი „მშობლების თანადგომა„ დაფუძლებულია 2006 წელს, თვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების მიერ. კავშირის მისიაა ხელსაყრელი პირობების შექმნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განვითარება და მომზადება ღირსეული ცხოვრებისათვის.

გამოფენამ დაგვანახა, რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ უნდა იყოს საზოგადოების დაყოფის საფუძველი, ეს დიდი სამყარო არის იმდენად ტევადი და სხვადასხვანაირი, რომ აქ არის ყველასთვის საპატიო ადგილი, როგორებიც უნდა ვიყოთ ყოველი ჩვენგანი.





## ჯანდაცვის სამინისტრო ბინაზე მოვლის საპილოტე პროგრამას იწყებს



ჯანდაცვის სამინისტრო ბინაზე მოვლის საპილოტე პროგრამას იწყებს. მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, თვითმოვლისა და კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად სპეციალისტების მომსახურებას სახლში მიიღებენ.

უწყების ცნობით, ეს სიახლე შშმ ბავშვების მშობლებს, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის უფროსმა ნინო ოდიშარიამ გააცნო. მისი თქმით, პილოტური პროგრამა საშუალებას მოგვცემს, უფრო კარგად დავინახოთ მათი საჭიროებები და ბავშვებს განვითრებისთვის აუცილებელი პირობები შევუქმნათ. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ფონდ „პირველი ნაბიჯის„ დამფუძნებელი ნინო ქადაგიძე. ფონდი 2009 წლიდან უზრუნველყოფს ბინაზე მოვლის სერვისებს მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის. პილოტური ქვეპროგრამა ითვალისწინებს: მომვლელის, მეტყველებისა და განვითარების სპეციალისტების, ოკუპაციური თერაპევტის, ფსიქოლოგისა და პედიატრის მომსახურებას. ბინაზე მოვლის პილოტურ პროგრამაში ჩაერთვებიან 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. პროგრამა ხორციელდება თბილისში და მასში ერთდროულად ჩაერთვება არაუმეტეს 40 ბავშვისა, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და არ შეუძლიათ დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა.

www.kvira.ge

## ბექა გოზალიშვილს ღირსების ორდენი გადაეცა

თბილისის მერიის ადმინისტრაციაში დასაქმებულმა უსინათლო ბექა გოზალიშვილმა მხედველობადაქვეითებული პირებისათვის შემოსავლების სამსახურის ხმოვანი ვებ-გვერდის voice.rs.ge შექმნაში მიიღო მონაწილეობა. ბექა გოზალიშვილს გაწეული შრომისთვის ღირსების ორდენი გადაეცა, რომელიც მას სიმბოლურად თბილისის მერმა უსახსოვრა. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, პროგრამით სარგებლობა არა მხოლოდ შშმ პირებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაა შესაძლებელი. „ბიჭებმა თავიანთი ნამუშევრით დაამტკიცეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და მთავარია მონდომება, რომ ადამიანს შეუძლია როგორც მისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი რამ შექმნას. მათ მართლაც ღირსეული პროდუქტი შექმნეს და ამიტომ ისინი იმსახურებენ ამ ჯილდოს„,- განაცხადა დავით ნარმანიამ. voice.rs.ge მხედველობადაქვეითებულ პირებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, ონლაინ რეჟიმში შეძლონ ურთიერთობა შემოსავლების სამსახურთან, ისარგებლონ მისი სერვისებით და მიიღონ ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

www.word.office.live.com

## ირაკლი ღარიბაშვილი "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" თავმჯდომარეს გიორგი ძნელაძეს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" თავმჯდომარეს გიორგი ძნელაძეს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხები განიხილეს.

საუბარი შეეხო თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სამთავრობო სამოქმედო გეგმას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, მათ მდგომარეობას და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამებში მათი ჩართულობის მნიშვნელობას.

www.interpressnews.ge/

## აქცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო უფლების მხარდასაჭერად




5 ოქტომბერს, ბათუმში, ვარდების სკვერში გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო უფლების მხარდასაჭერი აქცია. მონაწილეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიეცათ საშუალება ქალაქ ბათუმის მერიის მისამართით, შშმ თემთან დაკავშირებით გააჟღერონ სხვადასხვა ტიპის გზავნილები როგორც ვიდეორეპლიკების, ისე - ფოტოების სახით. ასევე, ჩაერთონ კამპანიაში „10-16„ და ხელი შეუწყონ ინფორმაციის გავრცელებას ქალაქის სხვადასხვა წერტილში საინფორმაციო პოსტერების სახით.

◦ კამპანია „10-16„ მიზნად ისახავს ქალაქ ბათუმის მერიისა და სხვა - იმ სამთავრობო უწყებებისთვის, რომელიც კავშირშია საარჩევნო პერიოდში შესაბამისი უბნების ადაპტირებასთან, დაკისრებული ვალდებულების(საარჩევნო კოდექსი/გაეროს შშმ პირთა კონვენცია) შეხსენებასა და საარჩევნო უბნების მოწესრიგებისთვის მაქსიმალური ძალისხმევის გაღების მოწოდებას. შეგახსენებთ, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები 2016 წლის მე-10 თვეშია(ოქტომბერი). სახელწოდება „10-16„ სწორედ აღნიშნული თარიღის ციფრობრივი გამოსახვაა.

◦ აქტივობა ხორციელდება პროექტის „ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ამაღლება„ - ფარგლებში. პროექტს ახორციელებს მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის.„ ხოლო მისი ფინანსური მხარდამჭერია ცენტრალური საარჩევნო კომისიის სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების ცენტრი„.

## ადამიანი, რომელმაც უსინათლოთათვის ვებგვერდები აალაპარაკა - იცნობდეთ ლადო ურდულაშვილს!

მაია დემეტრაშვილი



**მათ აალაპარაკეს საგადასახადო სისტემა, შეძლეს პოლიციის ვებ-გვერდის ამეტყველება... ლაპარაკობს მობილურზე მოსული მათი გზავნილებიც და ესეც მათი დამსახურებაა... შეუძლიათ აალაპარაკონ გაჩერება, ავტობუსი, ბანკომატი და... და კიდევ ბევრი სხვა რამ. უსინათლონი არიან და იციან ხმის ფასი, არ საჭიროებენ სხვის დახმარებას, თავად ეხმარებიან ყველას...**

**გაიცანით, ეს ლადო ურდულაშვილი და ბექა გოზალიშვილია... და მალე მათ სახელმწიფო ჯილდოზე წარადგენენ.**

მხედველობა დაქვეითებული ადამიანებისთვის შემოსავლების სამსახური, რომლის თანამშრომელიც ლადო ურდულაშვილია, ახალ, ხმოვან ვებპორტალს სულ მალე გაუშვებს. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს voice.rs.ge-ს შექმნის იდეისა და პროექტის ავტორების წარდგენა სახელმწიფო ჯილდოზე სურს. დიდი ალბათობით, ამ ჯილდოს მიიღებენ კიდეც!

თავად ლადო **„აიპრესთან“** საუბრისას ამბობს, რომ პროგრამა საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე შექმნეს, თუმცა მათთვის ადაპტაცია, კომპიუტერთან მუშაობის წესები ახალი არ არის, ბევრი უსინათლოსთვის კი ეს ნამდვილად პრობლემა და მიუღწეველია რამაა.

„მხედველობის პრობლემა მაქვს, მე და ჩემმა მეგობარმა, ბექა გოზალიშვილმა შევქმენით ამ პროგრამის ძრავა, რაზეც 3 წელი ვიმუშავეთ. უსინათლოთა დიდი ნაწილისთვის კომპიუტერით სარგებლობა შეუძლებელია, პროგრამის შექმნაც ამას ემსახურება – გახადოს უსინათლოთათვის კომპიუტერი ხელმისაწვდომი. ეს პროგრამა ყველა ქვეყანაშია, ქართულ ენაზე კი ძრავა არ იყო შექმნილი, პირველ რიგში, სწორედ ძრავა შევქმენით, რომელიც მივაბით ჩვენს უსინათლოების პროგრამას NVDA-ს, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ გახმოვანდეს ყველაფერი. ამის შემდეგ, იგივე პროგრამა შევქმენით ტელეფონზეც, რომელსაც ქართული მხარდაჭერა გააჩნია“.

**ლადოს და ბექას შექმნილია სერვისი voice.police.ge-ც. ლადო ამბობს, რომ საკმაოდ მოხმარებადი პროდუქტი გამოვიდა.**

„არ არის აუცილებელი, უსინათლო იყო, შესაძლოა, მცირედმხედველი იყო, ან სულაც კითხვა გეზარება, შეხვალ ვებ-პორტალზე და ინფორმაციას მიიღებ სმენით. მინსკში როდესაც ვმუშაობდი, კვლევა ჩაატარეს, რომლის თანახმად, მოსწავლე-

გაგრძელება →

თა 40 პროცენტს სმენითი მეხსიერება აქვს, შესაძლოა ხედავდეს, მაგრამ ინფორმაციას ამ მეთოდით უფრო ადვილად იღებდეს, ან თუ ადამიანი ზარმაცია, მას პროგრამა უკითხავს ყველაფერს რეალურ დროში, ერთი ღილაკის დაჭერით, პროგრამა აგენერირებს ტექსტს და გაწვდის ინფორმაციას…“ – გვიყვება ლადო ურდულაშვილი.

ლადო ძალიან დაკავებულია, მუშაობს პროგრამებზე, ასწავლის უსინათლოებს, უსინათლო ფეხბურთელთა რიგებშიცაა და პარაოლიმპიადის მონაწილეც, მღერის და უკრავს ქართულ ხალხურ საკრავებზე, მისი სიმღერები ხშირად ტრიალებს ქართულ რადიო სივრცეში. ყველაფერთან ერთად მილიონი იდეა აქვს… უსინათლოთათვის გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნავს, ფიქრობს, იდეებს უზიარებს – მერიას, კერძო პირებს, ბანკებს… ხშირად იდეა იდეად რჩება მხოლოდ.

**მესიჯს თუ მიიღებს საკუთარ ანდროიდზე, თავისივე შექმნილი პროგრამა ხმამაღლა უკითხავს, სხვებსაც ეხმარება…**

„პრობლემები სერიოზულია… სეულში ვიყავი ცოტა ხნის წინ პარაოლიმპიადაზე, იქ ყველაფერი ადაპტირებულია, შშმ პირთათვის საოცარი შესაძლებლობებია, იქ ყველაფერი ლაპარაკობს და უსინათლოსთვის გადაადგილება პრობლემა არაა… მე პრინციპში შევეჩვიე ასეთ გარემოს საქართველოში, აქ ცხოვრება ძალიან ძნელია… მაგარი იქნება ელემენტარული რამ რომ გაკეთდეს… უსინათლოები და ნებისმიერი შშმ პირი არ უნდა იყოს სხვაზე დამოკიდებული, თავად უნდა მიაღწიონ ყველაფერს, ქუჩაში დამოუკიდებლად გადაადგილების საშუალება უნდა ჰქონდეთ, სულ ელემენტარული მაღაზიაში ჩასვლა უნდა შეეძლოთ, არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი სხვაზე, როცა რამის წაკითხვა უნდათ სხვას არ უნდა სთხოვონ დახმარება… მაგრამ ეს მაინც იმის ბრალია, რომ გარეთ გასვლის ეშინიათ, ამ პირობებში ეს ყველაფერი დამოუკიდებლად წარმოუდგენელია და იმიტომ…“

**ამბობს, რომ ბექასთან ერთად შეუძლია აალაპარაკოს ავტობუსი, გაჩერება, შესაძლებელია უსინათლოს გაჩერებაზე ტელეფონმა უთხრას, რამდენ წუთში მოვა ავტობუსი… იდეა თბილისის მერიასაც გაუზიარა, პასუხი კი არც დადებითი, არც უარყოფითი არ მიუღია…**

ლადო იხსენებს, ამას წინათ თავად უსინათლო როგორ დაეხმარა ხანშიშესულ ქალბატონს, ავტობუსი რამდენ ხანში მოვაო ჰკითხა. „ტელეფონში სოფტი მაქვს, ვუთხარი რამდენ ხანშიც მოვიდოდა ავტობუსი. მოხუცს არც გაუგია, რომ უსინათლო ვარ… არადა ღილაკი რომ იყოს გაჩერებასთან, ინფორმაციის მიღება ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ადვილი იქნებოდა. საქართველოში ძალიან ძნელია…“

**ამბობს, რომ ტექნიკურად საჭირო იქნება ბევრი რამ ღილაკები, დინამიკები, ბევრი სხვა წვრილმანი, მაგრამ სოფტი მზადაა და გარემოს ადაპტირებისთვის ნაბიჯი გადადგმულია.**

გააკვირვა ბანკების დამოკიდებულებამ. ბანკომატზე სურდათ გახმოვანების სისტემის დამონტაჟება, პროგრამის განხორციელებისთვის თანხაც მიზერული იყო… დაგიკავშირდებითო, მაგრამ დაიკარგნენ…

**არადა ქვეყანაში, როგორც ლადო ამბობს, 8 000-12 000 უსინათლო ან მცირედ მხედველია, ბევრი ვინც ასაკის გამო კარგავს თვალის ჩინს, არც კი რეგისტრირდება ბაზაში.**

ლადოს მიაჩნია, რომ 60 წელი არ არის ის პერიოდი ადამიანისთვის, რომ უარი თქვას დამოუკიდებლად მოქმედებებზე, თუმცა სამწუხაროდ, ბევრს ხელი აქვს ჩაქნეული. „ასეთი პროგრამები უსინათლოებს ინფორმაციის მიღებაში, რეალურ დროში ადაპტირებაში დაეხმარება, ამ შესაძლებლობების არ არსებობის გამო კი, მათი უმრავლესობა დეპრესიულია და ცხოვრება გაუსაძლისი ხდება“.

**ვერც საზოგადოების მხრიდან გრძნობს დიდად მხარდაჭერას.**

„არავისზე ნაკლები არ ვარ, უბრალოდ ვერ ვხედავ და იქეთ დავეხმარები ყველას… მოხვდები ვიღაცასთან ერთად და ჩურჩულებენ „აბა, ჰკითხე, ყავა არ უნდა?“ „რატომ ვერ ხედავს?“… სასაცილოა… გეგონება რაღაც ის ვიყო… უსინათლო ჩვეულებრივი ადამიანია, ვერ ვხედავ? რა მოხდა მერე? ვისზე ნაკლები ვარ? უსინათლოს ინტელექტიც აქვს და სხვაზე უფრო მეტის აღქმაც შეუძლია, ხალხთან უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, ჩვეულებრივი ადამიანია, უბრალოდ ვერ ხედავს და მეტი არაფერი„.

**ამბობს, რომ ქართულ საზოგადოებაში სხვისი პრობლემებისთვის არ სცალიათ და ადამიანებმა უნდა ისწავლონ, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, დღეს ხარ ჯანმრთელი და ხვალ არ იცი რა იქნება… 20 წლამდე ისიც ყველაფერს ხედავდა, უბედური შემთხვევის შემდეგ კი გარემოს სხვა თვალით უყურებს.**

„რა თქმა უნდა სტრესია… უბედური შემთხვევის დროს, თვალის ნერვის ატროფია განვითარდა, მანამდე სრულიად ჯანმრთელი ვიყავი, ფეხბურთს ვთამაშობდი, არავინ იცის, ვის რა შეიძლება დაემართოს… ჩემი მეგობარი, ბექა, რომელთან ერთადაც ეს პროგრამები განვახორციელე, უსინათლოა დაბადებიდან, ზოგისთვის რა ხდება ამის მიზეზი ზოგისთვის რა… შშმ პირს რომ თავი დავანებოთ, ჩვეულებრივი ადამიანი თუ არ იბრძვის, არავინ არის ვალდებული შეინახოს, ოჯახში ზედმეტი ტვირთი არ უნდა იყოს, თავს თვითონ უნდა მოუაროს თუ არ მოინდომებს და თუ არ ბრძოლობს სახლში არავინ მოგიტანს პურს! საკუთარი თავი, ოჯახი თვითონ უნდა შეინახო… დედიკოზე და მამიკოზე არიან გამოკიდებულები და ამ დამოუკიდებლობას ბავშვები უნდა მივაჩვიოთ… უსინათლოა ბავშვი, შეიძლება მისი მიყვანა 102-ე სკოლაში, მაგრამ არ მიჰყავთ იმიტომ, რომ ეცოდებათ მარტო როგორ უნდა იყოს და რაღაც მსგავსი არგუმენტები. ეს ხელს უშლის ინტეგრირებას, რაც აუცილებელია. თანაც, ნაბიჯი ხომ გადავდგით, ინკლუზიური განათლება უკვე დანერგილია, ბავშვებსაც ვასწავლით, რომ არ უნდა დასცინონ. ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ მაინც ძალიან სერიოზულად ჩამოვრჩით. პირველ რიგში, ამ პრობლემების მოსაგვარებლად გადადგმული ეს ნაბიჯები, ტემპი უნდა დაჩქარდეს, ეს სახელმწიფოს გასაკეთებელია…“

**ეს გახლდათ ინტერვიუ ადამიანთან, რომელმაც მეგობართან ერთად უსინათლოთათვის ვებგვერდები აალაპარაკა! იცნობდეთ ლადო ურდულაშვილს!**

www.ipress.ge

# შშმ პირებზე ზრუნვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა ჩვენგანის მოვალეობაა

**ნათია კიკვაძე**
***კავშირი „მშობლების თანადგომა„ გამგეობის თავმჯდომარე***



მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, პრივილეგირებულია და პრიორიტეტია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებზე ზრუნვა. ჩვენს ქვეყანაშიც ბოლო პერიოდში სასიკეთო ცვლილებები ხორციელდება, მაგრამ პრბლემები მაინც ბევრია. ჩვენ შშმ. ბავშვთა მშობლებმა გადავწყვიტეთ, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ჩვენი შვილების უკეთესი მომავლის შექმნაში და 2006 წელს დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „მშობლების თანადგომა". მთელი ორი წლის განმავლობაში ვმოღვაწეობდით ენთუზმიაზზე, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე და ჩვენი ძალებით ბევრი სასიკეთო საქმეებიც გავაკეთეთ. 2008 წლიდან მონაწილეობას ვიღებდით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვთა ზრუნვის პროგრამაში და წარმატებით ვახორციელებდით დღის ცენტრით მომსახურებას მთელი 6 წლის განმავლობაში. 2014წ იმის გამო, რომ შენობა, სადაც ფუნქციონირებდა დღის ცენტრი რ.ლაღიძის ქ. N7 გასხვისდა, ჯანმრთელობის სამინისტრომ გასული წლის აგვისტოში ლიცენზია შეგვიჩერა და დღის ცენტრმა მუშაობა შეწყვიტა. ეკონომიკის სამინისტროს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ოპერატიულად გამოეხმაურენ ჩვენს თხოვნას და იმავე წლის ნოემბერში მოგვცეს ალტერნატიული ფართი, სადაც მაშინვე გადავედით და დღემდე ვფუნქციონირებთ, ოღონდ არალეგალურად. არ გვაქვს ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამის გარეში კი არ შეგვიძლია დღის ცენტრის ლიცენზიის აღდგენა და შშმ პირები და ბავშვები, რომლებიც ჩვენი დღის ცენტრის საშუალებით იღებდნენ განკუთვნილ სერვისს, გაფანტული არიან მათთვის მოუხერხებელ ქალაქის სხვადასხვა უბნებში, ბევრი მათგანი კი საერთოდ დარჩენილია ამ მომსახურების მიღმა.



მიუხედავად ამ პრობლემისა, ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ, ჩვენივე ძალებით აღნიშნული ფართი კეთილმოვაწყვეთ, ვუზრუნველვყავით ყოველგვარი ინვენტარით, სასწავლო მასალებით და ორგანიზაცია მზადაა დღის ცენტრის სერვისი სრულყოფილად და მაღალ დონეზე განახორციელოს. მიმდინარე წელს მონაწილეობა მივიღეთ კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დაგვიფინანსეს პროექტი „ხელოვნება ინტეგრაციისთვის„. პროექტი იყო ინკლუზიური და მიზნად ისახავდა , ხელოვნების საშუალებით შშმ პირთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კულტურასთან ზიარებას და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობას. სწორედაც ხელოვნებაა ერთ-ერთი შესაძლებლობა, მიაღწიო მიზანს—გაარღვიო ბარიერები და გახდე საზოგაოების სრულფასოვანი წევრი, თავად იზრუნო საკუთარ თავზე, არ იყო სხვაზე დამოკიდებული. როცა მოზარდი გარეთ გამოდის, ის უკვე ხდება საზოგადობის ნაწილი, მასში ინტეგრირება კი იმ სტერეოტიპს და გულგრილობას აქრობს, რაც საზოგადოებაში მათ მიმართ არსებობს. პროექტის ფარგლებში 15 შშმ პირი და 5 მათი თანატოლი დიდი მონდომებით და ხალისით ქმნიდნენ თიხისა და თექისგან სურათებს, რბილ თოჯინებს, აქსესუარებს და სუვენირებს,

გაგრძელება →

სწავლობდნენ ხატვას. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში მოვაწყვეთ გამოფენები, ჩვენი საქმიანობა გაშუქდა ტელევიზია GDS–ის შუადღის ეთერში. პროექტის დასკვნით ეტაპზე, 29 სექტემბერს, მოვაწყვეთ გამოფენა–პრეზენტაცია ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეაში, ფართო საზოგადოებამ ნახა ის შესანიშნავი შედეგი, რაც ამ პროექტის განხორციელებით მასში მონაწილე შშმ პირებმა მიიღეს. მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებს დიდი მოწონება ხვდათ წილად, რამდენიმე მათგანის შეძენის სურვილი გამოთქვეს სტუმრებმა. პროექტის მიზანი მიღწეულია, საზოგადოებამ ნახა, რომ პრობლემა შეზღუდული შესაძლებლობა კი არ არის, არამედ ის გარემოა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რაც უფრო მეტი მხარდაჭერა და სათანადო პირობები ექნებათ, საზოგადოებაც თვალნათლივ დაინახავს მათ უნარებს და შესაძლებლობებს სხვა კუთხით და ეს მიმართული იქნება ისევ ამ საზოგადოების საკეთილდღეოდ. რადგან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობის გამო, არ უნდა იყვნენ გარიყულები და მათი მდგომარეობა არ უნდა გახდეს საზოგადოების დაყოფის საფუძველი.



**ვიმედოვნებთ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უახლოეს პერიოდში მოგვიგვარებს კავშირ „მშობლების თანადგომას„ ფართის პრობლემას, მოგვცემს ფართით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს და ამით ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს და მათ ოჯახებს მიიღონ მათთვის ესოდენ საჭირო დღის ცენტრის მომსახურება, რომელსაც ისინი მთელი 6 წლის განმავლობაში უწყვეტად ღებულობდნენ და თითქმის ერთი წელია ელოდებიან მის აღდგენას. ეს იქნება კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო შშმ პირებსა და მათ ოჯახებზე.**

# კვლავ „უყურადღებოდ მიტოვებულნი“

*სოფო აფციაური*



**საქართველოში 2005 წლიდან დღემდე 36 დიდი ზომის ბავშვთა სახლი დაიხურა. დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის ფარგლებში ქვეყანამ ასეთი სახლების დახურვის ვალდებულება აიღო.**

**ბავშვების ნაწილი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ნაწილი კი მინდობით აღზრდაში გადავიდა. დანარჩენი ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდა. მათ შორისაა 618 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. თუმცა კვლავ დიდი ინსტიტუციების კედლებში რჩება 83 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი თბილისის ჩვილ ბავშვთა და კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლებში.**

კოჯორში დღეს ექვსიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ოცდაცხრა ბავშვი ცხოვრობს. 2008 წელს საბჭოთა პერიოდში მოქმედი მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის შენობა გარემონტდა და აქ ბავშვები ოჯახებიდან, ჩვილ ბავშვთა, კასპის და სენაკის ბავშვთა ინსტიტუციებიდან გადმოიყვანეს.

სენაკში გაიზარდა 15 წლის გურამიც. ახლა უკვე ცხრა თვეა კოჯორშია. თავიდან უჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება. ის არ საუბრობს სენაკში ცხოვრების პერიოდზე. მხოლოდ ამბობს, რომ იქ უფრო მოსწონდა. რატომ? – „იმიტომ, რომ იქ ბევრი მეგობარი მყავდა“. მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი ახლა ზრდასრულია და მარტყოფის პანსიონში ცხოვრობს: „მინდა, 18 წლის ვიყო და მარტყოფში, ჩემს მეგობრებთან ერთად ვცხოვრობდე“.

აქ მეგობრები არ ჰყავს, დღეებს ძირითადად, ადმინისტრაციის ოთახში, კომპიუტერთან ატარებს. უყვარს მუსიკის მოსმენა და ფილმების ყურება. მალე სკოლაშიც იქვე, კოჯორში, წავა.

25 მოზარდი ოთხ საძინებელშია განაწილებული, 4 ბავშვი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო

გაგრძელება →



პალიატიურ დაწესებულებაშია.

მომვლელებს ბავშვები შესაძლებლობების მიხედვით სამ ჯგუფად ჰყავთ დაყოფილი. სახლის ადმინისტრატორი გვიყვება, რომ აქ ყოველდღიურად ბავშვები სხვადასხვა აქტივობით არიან დაკავებული: "ზოგისთვის ბურთის გაგორებაა მნიშვნელოვანი, ზოგისთვის ფერების ცნობა, თვალით კონტაქტის დამყარება. ფსიქოლოგი სპეციალურ, სენსორულ ოთახში ინდივიდუალურად მუშაობს მათზე - თექა, მძივების აწყობა, ხატვა, ეს მათთვის დიდი თერაპიაა", - ამბობს ზეინაბ ჯობაძე.

**თუმცა ახლა შენობაში რემონტია და ბავშვები დღის უმეტეს ნაწილს ეზოში დამონტაჟებულ საქანელებთან ატარებენ. ერთ კუთხეში 6-მდე მოზარდი ეტლში, გაუნძრევლად ზის. ერთ-ერთ მათგანს თავი ეტლის საზურგეში ჩაურგავს და დროდადრო ტირის. ტირილს თითქმის არ წყვეტს 6 წლის მისი თანატოლიც, რომელიც პერიოდულად მომვლელებს ხელიდან უსხლტება და ჭიშკრიდან გაპარვას ცდილობს.**

ერთმანეთს თითქმის არ ეკონტაქტებიან. ბავშვების ნაწილი, ვისაც გადაადგილება შეუძლია, საქანელების ირგვლივ ქაოსურად მოძრაობს. თანატოლი გოგო და ბიჭი საქანელაში ნელა ირწევა.

ცისფერთვალება და გრძელთმიან გიორგის აუტიზმის სინდრომი აქვს. სათამაშო ეზოს ნაწილი კენჭებითაა სავსე. გიორგის კენჭები შემოაქვს და ერთ ადგილზე აგროვებს. რამდენიმე წუთში კენჭებით თამაში ბეზრდება და წრეზე სიარულს იწყებს. თვითონ არ საუბრობს, მასზე ლაპარაკს მომვლელებიც ერიდებიან: "მშობლებმა მოიყვანეს. მეტს ვერაფერს გეტყვით".

მაგრამ ყვებიან ლიკაზე, რომელიც კოჯრის ბავშვთა სახლში რამდენიმე წლის წინ მოხვდა: „მშობლებს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ. ტყეში ცხოვრობდნენ. ვერ წარმოიდგენთ, თავიდან როგორ გვიჭირდა მისი მოვლა - ლაპარაკი არ იცოდა, ელემენტარული უნარ-ჩვევები არ ჰქონდა გამომუშავებული. ახლა დიდი მიღწევები გვაქვს, კარგად იქცევა".

უფროსი მომვლელები - ნატო და მაგდა პროფესიით პედაგოგები არიან. ნატო აქ 2009 წლიდან მუშაობს, მაგდა - რამდენიმე თვეა. ხელფასი 300 ლარი აქვთ: "სხვა გზა არ მაქვს. უბრალოდ, ასეთ რეალობაში ვარ", - ამბობს მაგდა და საქანელას არწევს.

ბავშვებს ოთხი უფროსი და უმცროსი მომვლელები ჰყავთ. მათი სამუშაო გრაფიკი დილის 9-დან საღამოს 6 საათამდეა. ღამე მათთან სამი მომვლელი და ექიმი რჩება. მომვლელებთან ერთად დაწესებულებაში ფსიქოლოგი, პედიატრი, ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი მუშაობს.

ბავშვების 99% მედიკამენტებს იღებს - სხვადასხვა ფსიქოტროპულებსა და დამამშვიდებლებს. მორიგე ექიმის ოთახში სენაკიდან გადმოყვანილი გოგონა ჰყავთ, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მთელ დღეებს საწოლში ატარებს.

„ძალიან ვცდილობთ ბავშვებისთვის იდეალური პირობების შექმნას, ინდივიდუალურობის შენარჩუნებას", - გვეუბნება ბავშვთა სახლის დირექტორი, მაია ჩიტაიშვილი.

წუხს, რომ დაუგეგმავად მივედით და ჩვენი ვიზიტი შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს დაემთხვა. შემდეგ გარემონტებულ კორიდორს გვაჩვენებს, სადაც ბავშვების კომფორტული გადაადგილებისთვის კედლებზე ხის ინსტრუქციებია გაკეთებული. ოთახები მართლაც არეულია, ბავშვების ტანისამოსი აქეთ-იქით ყრია:

„რომ დავლაგდებით, კიდევ გვესტუმრეთ".

დირექტორი ამბობს, რომ ძალიან რთულია ერთად ბევრი ბავშვის მოვლა და აღზრდა, თუმცა შეუძლებელი არ არის:

**„მაგალითად, გურამი, რომელმაც ბავშვობა სენაკში გაატარა, უცებ ჩვენთან გადმოიყვანეს. ბუნებრივია, მას ამის გამო პროტესტი გაუჩნდა, თუმცა შემდეგ ყველაფერი დალაგდა. სირთულეები გვქონდა ყველა ბავშვთან, თუმ-**



**ცა ჩვენი მუშაობის შედეგებიც თვალსაჩინოა. ბავშვმა რომ თავისით ონკანი გახსნა, თეფში სამზარეულოში დააბრუნა, კუბიკი კუბიკს დაადგა - ეს უკვე დიდი შედეგია. ოთო სკოლაში დადის. ახლა კიდევ ოთხი ბავშვი უნდა შევიყვანოთ სკოლაში", - ამბობს ჩიტაიშვილი.**

ისევ ეზოში ვბრუნდებით, ჯერ თბილა, ხის ქვეშ ლეიბზე ერთ-ერთი აღსაზრდელი წევს. მომვლელი მას ფეხებზე მასაჟს უკეთებს.

სანამ დაცვის თანამშრომელი რკინის ჭიშკარს გაგვიღებს, 16 წლამდე ბიჭი ჩვენკენ სწრაფი ნაბიჯით მოდის. თვითდაზიანების შესამცირებლად ხელის მტევანზე მოკრივის ხელთათმანები უკეთია, ხელებზე თეთრი დამცავი აქვს შემოხვეული, თავზე კი თეთრი ჩაფხუტი ახურავს. მანქანას ხელს უჭერს. უნდა, რომ გამოგვყვეს

მისი თანატოლები როგორც დავტოვეთ, ისევ საქანელებთან არიან - ზოგი ეტლში ზის, ზოგი წრეზე დადის, ზოგიც კენჭებით თამაშობს. როლები

გაგრძელება →



არც მომვლელებს შეუცვლიათ.

„დღეს ბავშვები დიდ ინსტიტუციებში აღარ უნდა რჩებოდნენ, მთავრობამ მათთვის ალტერნატიული სერვისები უნდა აამუშაოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, - განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში საშა გრაუმანმა 24 სექტემბერს ომბუდსმენის მიერ გამართულ შეხვედრაზე.

„უყურადღებოდ მიტოვებულები“ - ასე დაარქვა საერთაშორისო ორგანიზაცია DRI-იმ 2013 წელს თავის კვლევას, რომელიც ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციას ეხებოდა. ორგანიზაციამ მაშინ



თითქმის ყველა დიდი დაწესებულება მოინახულა და მდგომარეობა საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა: „ეს ბავშვები ისევ მარგინალიზებულნი არიან და განიცდიან ძალადობას. ამიტომ შშმ ბავშვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებიდან გარიყულნი რჩებიან“.

**DRI-იმ საქართველოში სხვადასხვა ინსტიტუციასთან ერთად კოჯრის ბავშვთა სახლიც მოინახულა: „მკვლევრებმა ნახეს ბავშვები და მოზრდილები, რომლებიც მთელ ცხოვრებას უმოძრაოდ ატარებენ: „ქანაობენ წინ და უკან, იკვნეტენ თითებს და აცეცებენ თვალებს. ფსიქოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თვითდაზიანება ხშირად გონების დამთრგუნველი მოწყენილობით და დაწესებულებაში ემოციური ცხოვრების არარსებობითაა გამოწვეული“, - ამბობს საერთაშორისო კვლევა.**

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ საქართველოში მიმდინარე ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი გრძელდება. ის შეეხება კოჯრის შშმ ბავშვთა სახლსაც და თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლსაც. ვადები ამ დროისთვის დაზუსტებული არ არის.

„ყველა ბავშვი შესწავლილია და დაგეგმილია მათი მზრუნველობის სავარაუდო ფორმებიც. შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა განსხვავებული მომსახურებების არსებობის საჭიროება - სპეციალიზებული მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, პალიატიური ზრუნვა და სხვ. გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით, შეიქ-



მნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მომსახურების მომწოდებლები. ჯგუფი შეიმუშავებს კონცეფციას, განიხილავს სერვისის მომწოდებლების ყველა წინადადებას, დაგეგმავს იმ საჭირო ტრენინგებს, რომელიც უნდა ჩაუტარდეს როგორც სოციალურ მუშაკებს, ასევე მომსახურების მომწოდებლებს. ის უზრუნველყოფს ფინანსების მოძიებას და იმ საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც საჭიროა შესაბამისი ალტერნატიული მომსახურებების შესაქმნელად კოჯრისა და ჩვილ ბავშვთა სახლების დახურვის შემთხვევაში ბავშვების საჭიროებისა და სტანდარტების გათვალისწინებით“, - აცხადებენ სამინისტროში.

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ.

# მეტყველების განვითარება და დარღვევის ფორმები

*მაია ასაკაშვილი*



მეტყველება არის ვერბალური კომუნიკაციის პროცესი, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს ინფორმაციის გაზიარება და აზრთა გაცვლა ადამიანებს შორის. მეტყველება იცვლება ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად, ასევე შინაგანი მდგომარეობისა და სიტუაციის მიხედვით (მაგალითად, ხდება ემოციური). მეტყველების საშუალებით, ადამიანი ადრეული ასაკიდანვე ენის დაუფლების პროცესში იძენს თავისი კულტურის და სოციალური წრის გამოცდილებას.

ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლება გარკვეულ საფეხურებს გადის: ჯერ ჩნდება ერთსიტყვიანი წინადადება, შემდეგ საფეხურზე იქმნება პირველი უფორმო ორ სიტყვიანი წინადადებები, სადაც სიტყვები ერთმანეთის გვერდითაა მოთავსებული ყოველგვარი შეთანხმების გარეშე,

მაგ. „თოჯინა მე„, რაც ჩემს თოჯინას აღნიშნავს, ან თოჯინის ხელში აღების სურვილს. მეორე წლის ბოლოს იწყება მეტყველების გრამატიზაცია - ბავშვი თანდათანობით ეუფლება ,,დედაენის'' გრამატიკულ სტრუქტურებს, სიტყვათა შორის შეთანხმებას, იზრდება ლექსიკური მარაგი და წარმოთქმული წინადადებების სირთულე.ეს საფეხურები ასახავენ ზოგად კანონზომიერებას, რომელიც ვლინდება ბავშვის ნორმალურ ენობრივ გარემოში განვითარების პირობებში, სადაც მასთან ურთიერთობას ამყარებენ მეტყველების საშუალებით. ჩვეულებრივ, ბავშვის განვითარების მეორე წელი მიჩნეულია მეტყველების განვითარების ყველაზე მგრძნობიარე, ე.წ. სენსიტიურ პერიოდად. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები მეტყველების ათვისებისა და გამოყენების ბიოლოგიური მზაობით იბადებიან, თუ სენსიტიურ პერიოდში ბავშვი არ არის ენობრივ გარემოში და არ ხდება მისი მეტყველების განვითარების სტიმულირება, ბავშვის მეტყველება არ ვითარდება.

**ენისა და მეტყველების დაუფლება ყველა ბავშვის სწავლების და განვითარების საფუძველია**

ენის ცოდნა და მეტყველების კარგი უნარი უმნიშვნელოვანესია აკადემიური წარმატებისა და სწავლისათვის. ენა კომუნიკაციის ბაზას წარმოადგენს. კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი ენის შემადგენელი ფორმებია.პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ბავშვებს, რომელთაც სხვადასხვა სახის მეტყველების დარღვევები აქვთ. აღნიშნული დარღვევები ძალზე მრავალფეროვანია და მათ განსხვავებული ბუნება და მიზეზები აქვთ. დარღვევები შეიძლება აღმოცენდეს მეტყველების ფონოლოგიურ, გრამატიკულ, სემანტიკურ და პრაგმატულ დონეებზე. თუმცა, ყველა შემთხვევაში, დარღვეულია გარემოსთან ენის საშუალებით კომუნიკაცია. მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვები სერიოზულ სირთულეებს აწყდებიან სწავლის პროცესში. ვერბალური უნარ-ჩვევების განვითარების ჩამორჩენა ხშირად იწვევს სირთულეებს კითხვის, წერისა და ანგარიშის დაუფლებაში. ასევე, ხშირია ქცევის თანმხლები პრობლემები. შესაბამისად, აუცილებელია მეტყველების განვითარების დარღვევების ან შეფერხების თავისებურებების ცოდნა, რათა დროულად შევძლოთ ბავშვის მეტყველების პრობლემების იდენტიფიკაცია და მეტყველების განვითარების შესაბამისი სტრატეგიების დასახვა.მეტყველების განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების სწავლება განსაკუთრებულ, ინდივიდუალურ მიდგომებსა და სტრატეგიებს მოითხოვს. .ქვემოთ, შევეცდებით გაგაცნოთ მეტყველების დარღვევების ძირითადი ფორმები და რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვების ინკლუზიურ განათლებაში. მეტყველების დარღვევებში ძირითადად განასხვავებენ:

- **ექსპრესიული მეტყველების დარღვევას**, რაც ვლინდება საკუთარი აზრის,
- გრძნობების მეტყველებით გამოხატვის სირთულეში.
- **იმპრესიული მეტყველების დარღვევას,** რაც ვლინდება მიმართული მეტყველების
- გაგების სირთულეში. ანუ, ბავშვს უჭირს სხვათა მეტყველების გაგება.
- **მეტყველების შერეულ დარღვევას,** რაც ვლინდება როგორც ექსპრესიული,
- ასევე იმპრესიული მეტყველების დარღვევაში.

**ექსპრესიული მეტყველების დარღვევა**

იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს ურთიერთობა მეტყველების საშუალებით, მას ექსპრესიის ანუ გამოხატვის უნარი უნდა ჰქონდეს. ექსპრესიული მეტყველების დარღვევა ვლინდება: ლექსიკური მა-

გაგრძელება →




რაგის სიმწირეში; შესაბამისი სიტყვების შერჩევის სირთულეში; შემოკლებული წინადადებების გამოყენებაში; სტერეოტიპული ფრაზების გამოყენებაში; წინადადების სტრუქტურის არასწორ წყობაში; სინტაქსურ შეცდომებში (განსაკუთრებით დაბოლოებებისა და წინსართების გამოტოვება); გრამატიკულ შეცდომებში .(წინდებულებისა და ნაცვალსახელების გამოტოვება, ზმნების შეცდომით უღლება ან არსებითი სახელების ბრუნვა). შეიძლება აღინიშნებოდეს გრამატიკის წესების არასწორი ან განზოგადებული გამოყენება. აგრეთვე, შეიძლება აღინიშნებოდეს მეტყველების მოქნილობის დარღვევა და წარსულის გამოცდილების მოყოლისას მოვლენათა თანმიმდევრობის აღდგენის სირთულეები. ექსპრესიული მეტყველების დარღვევას ხშირად ახლავს არტიკულაციის პრობლემები.

**იმპრესიული მეტყველების დარღვევა**

იმპრესიული მეტყველების დარღვევა გულისხმობს, რომ ბავშვი ვერ იგებს მიმართულ მეტყველებას, ანუ არ ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს, არ რეაგირებს ხმის ტონის ცვლილებაზე, არა იმიტომ, რომ მას სმენასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს, არამედ იმიტომ, რომ დარღვეულია რეცეპტული მეტყველების უნარი. რეცეპტული (იმპრესიული) მეტყველების დარღვევის დროს თითქმის ყველა შემთხვევაში დარღვეულია ექსპრესიული მეტყველებაც. რაც კანონზომიერიცაა,თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვის მოსმენა და გაგება მეტყველების განვითარების წინაპირობაა. ხშირად აღინიშნება სიტყვებისა და ბგერების წარმოთქმის დეფექტიც. იმპრესიული მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია გრამატიკული სტრუქტურების (უარყოფა, შეკითხვა, შედარება და ა.შ.) გაგების სირთულეები. მეტყველების ამ ტიპის დარღვევას თითქმის ყოველთვის თან ახლავს სოციალური, ემოციური და ქცევითი დარღვევები. ხშირია ჰიპერაქტიურობა და უყურადღებობა, სოციალური შეუგუებლობა და თანატოლებისგან იზოლაცია, შფოთვა, ან ზედმეტი სიმორცხვე. იმპრესიული მეტყველების დარღვევა ან განვითარების შეფერხება შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა დარღვევებით: **ფონემატური სმენა** (ჟღერადობით მსგავსი ფონემების გარჩევა: ბ-პ-ფ); **ხანმოკლე სმენითი მეხსიერება** (გრძელი გამონათქვამის გაგების სირთულე); **სემანტიკური პრობლემა** (სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის, გადატანითი მნიშვნელობის გაგების სირთულე); **პრაგმატული დარღვევები** (სხვისი გამონათქვამის, ხუმრობის, ჟესტებისა და მიმიკის გაგების სირთულე).როგორც წესი, მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვები ჩამორჩებიან სწავლაში თავიანთ თანატოლებს. ისინი შესაძლოა, სირთულეებს განიცდიდნენ კითხვისას, წერისას, უჭირდეთ სხვათა გაგება და საკუთარი აზრის გამოხატვა, არასწორად იგებდნენ სოციალურ ნორმებს, თავს არიდებდნენ სკოლაში სიარულს და ვერ აყალიბებდნენ მსჯელობას.

სკოლის ასაკის ბავშვები შემდეგი სახის მეტყველების დარღვევებით ხასიათდებიან:

- ბგერების გამოთქმის სირთულე (ფონოლოგიური, არტიკულაციის პრობლემები);
- სხვათა მეტყველების გაგების სირთულე (იმპრესიული მეტყველების დარღვევა) და
- საკუთარი აზრის გამოთქმის სირთულე (ექსპრესიული მეტყველების დარღვევა);
- კოგნიტურ-კომუნიკაციური სირთულე - სირთულეები აზროვნების უნარში, აღქმის და დამახსოვრების .სირთულე, ზოგადი ცოდნის სიმწირე, მსჯელობისა და წარმოსახვის სირთულეები;
- მოქნილი მეტყველების პრობლემები - ენის ბორძიკი, სიტყვების გამეორება, სიტყვების ან ბგერების წამღერებით წარმოთქმა, მეტყველების დაწყების სირთულე.
- ხმის ძალის, სიმაღლის, ტემბრის პრობლემები - ძალიან ჩუმი ან ხმამაღალი ლაპარაკი (დისპონია, აფონია), ხორხისმიერი ხმების გამოცემა და ა.შ.;

იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი აღმოაჩენს მოსწავლის სირთულეებს ენის სწავლასა და მეტყველებაში, ბავშვის მშობლებთან შეთანხმებით, აუცილებელია, მოსწავლე გაიგზავნოს დიაგნოსტიკაზე ფსიქოლოგთან, მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან), რათა გაირკვეს მოსწავლის მეტყველების დარღვევის ტიპი და შემდეგ მასწავლებელთან ერთად დაისახოს მოსწავლის მეტყველების გაუმჯობესების სტრატეგიები.



გაგრძელება →

## რამდენიმე ეფექტური სტრატეგია და სავარჯიშო მეტყველებისა და თხრობის უნარის განვითარებისთვის

- მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეებმეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობისა და მუშაობის დროს, არავითარ
- შემთხვევაში არ უნდა ვაიძულოთ ბავშვი გამოთქვას რაიმე სიტყვა ან წინადადება თუკი ეს მას
- უჭირს. იძულებითი და დაჟინებული მოთხოვნა ბავშვს უარყოფით დამოკიდებულებას
- უყალიბებს თავად მეტყველების პროცესისადმი, რადგან მას თხოვენ იმას, რისი გაკეთებაც მას ან
- არ შეუძლია, ან უჭირს;
- მოერიდეთ მოსწავლეს პირდაპირ მიუთითოთ მეტყველებისას და/ან თხრობისას
- დაშვებულ შეცდომაზე. შეცდომის მითითების გარეშე, თქვენ თვითონ შეასწორეთ შეცდომა.
- არ მოითხოვოთ მისგან სწორი ფრაზის გამეორება;
- ხელი შეუწყვეთ, მეტყველების მასტიმულირებელი გარემოს შექმნას, სადაც ბავშვს გაუჩნდება სურვილი სპონტანურად ჩაებას საუბარში, უპასუხოს შეკითხვას ან თუნდაც მოგბაძოთ და გაიმეოროს თქვენთან ერთად. მაგ. დასვით შეკითხვები მთელი კლასისთვის; წაახალისეთ მთელი კლასი ან მოსწავლეთა
- მცირე ჯგუფი ერთად, ხმამაღლა წარმოთქვან ლექსი; მოსწავლეები რიგრიგობით ასახელებენ
- საგნებს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეც;
- თუ თქვენი მოსწავლე სხვადასხვა მიზეზების გამო (მაგ, ენაბორძიკობა, დიზართრია) ერიდება
- კლასის წინაშე საუბარს, მიეცით მას უფლება გაკვეთილი ან ინდივიდუალურად ჩაგაბაროთ
- თხრობით ან თქვენი თანდასწრებით წერილობითი ფორმით;
- ზედმიწევნით ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვს, როდესაც ის გელაპარაკებათ. შეეცადეთ
- წაახალისოთ მისი ლაპარაკის მცდელობა და რაღაც მცირედით დაასაჩუქროთ (ვარსკვლავი
- რვეულში, შექება კლასის წინაშე და ა.შ) არასოდეს არ შეაწყვეტინოთ მას ლაპარაკი და
- ყოველთვის დაელოდეთ მის მიერ ფრაზის დამთავრებას. არ დაამთავროთ ბავშვის მაგივრად
- არც სიტყვა, არც ფრაზა (არც თანაკლასელებს მისცეთ ამის გაკეთების უფლება). ეს სტრატეგია
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენაბორძიკობის შემთხვევაში. მეტყველების ხშირი შეწყვეტა
- სხვების მხრიდან ბავშვს აიძულებს აჩქარდეს და აღელდეს; მას უჩნდება სურვილი უფრო სწრაფად
- ილაპარაკოს, რათა ყველაფრის თქმა მოასწროს, ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს
- ენაბორძიკობის გაძლიერებას.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

## ნიჭიერის ცხოვრება „ნიჭიერის" შემდეგ

**გიორგი ჯანელიძე**



თემო არაბიძე ტელე-პროექტ „ნიჭიერი"-დან მთელმა საქართველომ გაიცნო. ამ მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდისა და მისი წარმატებების შესახებ ჟურნალ „იმედი +"-ის მკითხველს რამდენიმე თვის წინ ვუამბეთ. არამხოლოდ ქართულ, არამედ ზოგადად, ტელესივრცეში არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ტელემაყურებლისთვის პოპულარულ ლოკალურ ტელე-პროექტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ეტლით მოცეკვავეს, პრესტიჟული პირველი ადგილი დაეკავებინოს. ეს თემომ თავის მეწყვილე ქეთი ზაზანაშვილთან ერთად საქართველოში შეძლო. ეს მართლაც საოცარი ტრიუმფი იყო. დუეტმა უამრავი გულშემატკივარი შეიძინა. ყველას ეგონა, რომ ამ ორი ნიჭიერი ადამიანის მიერ შექმნილი ეს ლამაზი სანახაობა არასოდეს დასრულდებოდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება-ხოლმე, დასრულდა. თემოსა და ქეთის დუეტი დაიშალა. დღეს თემო არაბიძე უმუშევარია: „„ნიჭიერის" შემდეგ ჩემი ცხოვრება არაერთგვაროვნად წარიმართა. მოხდა ბევრი კარგიც და ბევრი-ცუდიც. ვიყავი პარასპორტსმენი, მქონდა სტიპენდია და სულ ეს იყო ჩემი ხელფასი. ზაფხულში 2 თვით წავედი ჩემ მშობლიურ საჩხერეში, ამასობაში დაიშალა ჩემი და ჩემი მეწყვილეს დუეტი, რაც საბოლოოდ, ჩემთვის სტიპენდიის შეწყვეტის მიზეზი გახდა. მე კი არ ვაპირებ შეჩერებას, გავაგრძელებ ბრძოლას რა თქმა უნ-

გაგრძელება →

და, სამართლიანობისთვის ბრძოლას, ვინაიდან უსამართლოდ მომიხსნეს ეს სტიპენდია", გულისწყვეტით ამბობს თემო, თუმცა როგორც მის ხასიათს შეეფერება, შეუპოვარია და ბრძოლას ბოლომდე აპირებს.

როგორც ის ეჭვობს, შესაძლოა, სტიპენდიის შეწყვეტა იმ ფაქტს უკავშირდებოდეს, რომ რამდენიმე წლის წინ მას საქართველოს ყოფილმა პირველმა ლედიმ, სანდრა-ელისაბედ რულოვსმა ძვირადღირებული ეტლი აჩუქა: „მთელმა საქართველომ იცის, რომ ეტლი სანდრა რულოვსმა მაჩუქა. ეს ეტლი ნიჟიერში გასვლამდე 1 კვირით ადრე ჩამომივიდა. სხვა ეტლზე ვვარჯიშობდი და შემდეგ, რომელსაც ველოდებოდი, მომისწრო ერთი კვირით ადრე. ის არ გამორიცხავს, რომ სანდრა რულოვსთან მისი მეგობრობა პოლიტიკური სპეკულაციების საგნადაა ქცეული და შესაბამისად, ის დასაჯეს. თუმცა, როგორც თავადაც აღნიშნა, ასე გაჩერებას და შეგუებას არ აპირებს. გეგმავს ახალ პროექტებს: „ახლა ვვარჯიშობ გორში, კულტურისა და ქორეოგრაფიის სკოლა „იბერიაში". ვვარჯიშობთ მე და ჩემი, ასევე ეტლით მოსარგებლე მეგობარი ვიქტორ ქარქიშვილი. შერჩეული გვყავს რამდენიმე გოგონა, მინდა, რომ ორი მეწყვილე მყავდეს, მე და ვიქტორს გვაქვს იდეები, ვაპირებთ რეგიონებში გასვლას. ამ ზაფხულს რეგიონებში დავდიოდი და სკოლებში ლექციებს ვკითხულობდი, პარალელურად, თუკი ვინმე მოცეკვავეს ვნახავდი, მასთან ერთად ვდგამდი ცეკვას და ვაჩვენებდი სკოლის ბავშვებს. წარმატებული ლექციები მქონდა, ბავშვები აბსოლუტურად ყველა სკოლაში ძალიან თბილად გვხვდებოდნენ. ახლა ვაპირებ რეგიონებში ცეკვით გავიდე, რათა საზოგადოებას შევახსენო, რომ არსებობენ ეტლით მოსარგებლე ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან და ისინი არ უნდა იყვნენ გარიყულები". თემო და ვიქტორი ფედერაციის ჩამოყალიბებას გეგმავენ. თემო პროფესიონალი მწრთვნელის ლიცენზიის ასაღებად ემზადება, რისთვისაც საჭიროა პირელ რიგში, სპეციალური განათლების მიღება: „ფეხზე მდგარი მოცეკვავე ვერ ასწავლის ეტლთან მიჯაჭვულ ადამიანს იმ ემოციას, რაც უნდა გამოხატოს ცეკვისას შინაგანად, სულიერად", ამბობს თემო, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მერიას მიმართა სამსახურის ძებნის პროცესში დახმარების გაწევის თხოვნით.

**რედაქციისაგან**

**რედაქციაში მოსული მკითხველთა წერილებიდან ჩანს, რომ საზოგადოებას კარგად ახსოვს თემო არაბიძის წარმატებები და აინტერესებს, თუ როგორ წარიმართა მისი შემდგომი კარიერა. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს ეროვნულ პარაოლიმპიურ კომიტეტს, საზოგადოებას განუმარტოს, რა მოხდა, რაშია საქმე. რატომ არ არის გამოყენებული თემო არაბიძის გამოცდილება და შესაძლებლობები მაშინ, როდესაც მან საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია რუსეთში გამართულ კონკურსში ქეთი ზაზანაშვილთან ერთად. თუ ასაქმებს პარტნიორს (როგორც რედაქციისათვის ცნობილი ქეთი ზაზანაშვილი მუშაობს მწვრთნელად პარაოლიმპიურ კომიტეტში), რატომ არ ასაქმებენ ძირითად მოთამაშეს, რომელიც საინვალიდო ეტლით მოსარგებლე საკმაოდ წარმატებული პირია და სწორედ ასეთი ადამიანებისთვისაა შექმნილი პარაოლიმპიური მოძრაობა.**

# ნეიროგანვითარების ცენტრი

*გიორგი ჯანელიძე*




ნეიროგანვითარების ცენტრი 1996 წელს დაარსდა. იმ დროს თბილისსა და სხვა ქალაქებში არსებული ბავშვთა ნევროლოგიური სამედიცინო დაწესებულებები, მართალია გარკვეულ სარეაბილიტაციო სერვისებს სთავაზობდნენ ბავშვებს (ფიზიკური თერაპია, მეტყველების თერაპია და ა.შ.), მაგრამ ეს არასოდეს ყოფილა სრულყოფილი სერვისი, რომელიც თავის მხრივ ერთდროულად მოიცავდა სრულყოფილ, მულტიდისციპლინურ, მიზანზე ორიენტირებულ სარეაბილიტაციო მკურნალობას. ცენტრის ერთ–ერთი დამაარსებელი, ექიმი ზაზა კაკუშაძე, დღემდე თვლის, რომ მისი გუნდის პოზიცია იმთავითვე სწორი იყო: „ჩვენ მართალი აღმოვჩნდით, როცა წავედით და დავაარსეთ ამ პროფილის ცენტრი იმიტომ, რომ მოვიდა ბევრი ბავშვი, რომელსაც სარეაბილიტაციო მკურნალობა ესაჭიროებოდა.

გაგრძელება →

როგორც კი დავიწყეთ მუშაობა, ცენტრის პაციენტები მთელი საქართველოდან ჩამოსული ბავშვები გახდნენ. შემდეგ შემუშავდა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამა, რის შემდეგაც მოდიან და მოდიან პაციენტები. იზრდება კონტინგენტი, პროფილის მიხედვითაც იზრდება ცენტრი, რომელსაც სისტემატურად ემატება ახალი სერვისები", აცხადებს ბატონი ზაზა. ცენტრის პაციენტთა ასაკი შეზღუდულია მხოლოდ სახელმწიფო პროგრამასთან მიმართებაში, რომელიც რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მკურნალობას სრულად აფინანსებს. მანამდე იყო თანადაფინანსება. ეს პროგრამა განსაზღვრულია ბავშვებისთვის, ანუ 18 წლამდე ასაკის პაციენტთათვის. უფროსი ასაკის მოზარდი ამ პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუმცა ცენტრს აქვს ყველა რესურსი იმისა, რომ მიიღოს და მომსახურება გაუწიოს პაციენტს, რომელიც ბავშვის ასაკს აღარ შეესაბამება. ნეირორეაბილიტაციის სერვისი, ძირითადად გულისხმობს ნერვული სისტემის დაზიანების მქონე ბავშვების მკურნალობას. ძირითადად ეს არის ცერებრული დამბლა და სხვა მსგავსი მდგომარეობები, რომლებიც იწვევენ შესაძლებლობათა შეზღუდვას. ცერებრული დამბლა და ნევროლოგიური დარღვევები არის ქრონიკული მდგომარეობები, რაც ძალიან ხშირად არის ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი პერიოდის დაზიანების შედეგი. ამიტომ, შეიძლება აქ ბავშვები მოხვდნენ სხვადასხვა პერიოდის დაზიანებით. მკურნალობის შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პაციენტის მდგომარეობაზე: „ზოგჯერ არის ძალიან კარგი შედეგები. ზოგჯერ შედეგი ისეთი არ არის, როგორიც გვინდა, მაგრამ ყოველთვის რაიმე შედეგი არის თუ სამედიცინო მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით არა, მაშინ- გარემოსთან ადაპტაციისა და სოციალიზაციის თვალსაზრისით მაინც და პრინციპში, მთავარი ეს არის. ბევრი სახის ნევროლოგიური დარღვევა არსებობს, მაგრამ თუ ვისაუბრებთ მაგალითად, კონკრეტულად ცერებრულ დამბლაზე, ეს არის ისეთი მდგომარეობა, რომლის ბოლომდე განკურნება შეუძლებელია. ამიტომ ეს ითვლება მთელი სიცოცხლის მდგომარეობად, რომლის მართვაც შესაბამისი უნდა იყოს. ორიენტაცია აღებულ უნდა იქნას უფრო სოციალურ საკითხებზე, სოციალურ ინტეგრაცია-ინკლუზიაზე და არა მაინცდამაინც სამედიცინო მდგომარეობის ბოლომდე აღმოფხვრაზე", ამბობს ცენტრის დამაარსებელი, ზაზა კაკუშაძე. ნეიროგანვითარების ცენტრში უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს მენტალური განვითარების დეპარტამენტიც, სადაც მკურნალობის კურსს გადიან აუტისტური სპექტრის, ქცევისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვები.

ეს დეპარტამენტიც უკვე თავისი სიმძლავრითა და მოცულობით ისეთივეა, როგორც ნეირორეაბილიტაციის დეპარტამენტი. „რაც შეეხება კონკურენტულ გარემოს, ცოტა ხნის წინ ამ მიმართულებით მხოლოდ ეს ცენტრი არსებობდა, მაგრამ დღეს ასე აღარ არის. თბილისშიც და რეგიონებშიც არის ცენტრები-მე ვერ ვიტყოდი, რომ ისინი ისეთივე სიმძლავრისაა, როგორიც ეს ცენტრი, მაგრამ არის ქუთაისში, ბათუმში, თელავში, თბილისში - რამდენიმე, რომელთაც მეტ-ნაკლებად საკმარისი მოცულობით შეუძლიათ მიაწოდონ სერვისი პაციენტებს, თუმცა, შესაძლოა, ვერ ფლობდნენ იმდენ რესურსს, რამდენსაც ეს ცენტრი ფლობს როგორც სპეციალისტების, ასევე, გამტარუნარიანობის თვალსაზრისით", აღნიშნავს ბატონი ზაზა.

სახელმწიფო პროგრამაში მოხვედრა არ არის რთული. 3 წლამდე ბავშვებისთვის საკმარისია, ნევროგანვთარების ცენტრს ან სახელმწიფო პროგრამაში სერვისის მიმწოდებლებად დარეგისტრირებულ სხვა ცენტრებს მიმართონ მშობლებმა და თუ ბავშვს დაესმება დიაგნოზი, რომელიც შესაბამისობაშია ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამულ დაავადებათა ჩამონათვალთან, ისინი ჩაერთვებიან სახელმწიფო პროგრამაში. 3 წელზე მეტი ასაკის ბავშვებს, პროგრამაში მოსახვედრად ესაჭიროებათ





შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი. „ახალი ბავშვები მოდიან, ზოგიერთი ამთავრებს აქ მკურნალობას იმის გამო, რომ უკვე მიღწეული აქვს მაქსიმალური პოტენციალისთვის და დიდი აზრი აქ ყოფნას აღარ აქვს, მაგრამ ბავშვების ძირითადი რაოდენობა დადის დიდხანს, რამდენიმე წლის განმავლობაში. ისინი დადიან ყოველდღე, კურსობრივად. ამჟამინდელი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბავშვებს ეძლევათ მაქსიმუმ 7 ათდღიანი ვაუჩერი, ანუ ეს არის 70 დღე წლის განმავლობაში, რასაც სახელმწიფო აფინანსებს. ამ-

ას გარდა, ვისაც სურს უფრო მეტი სერვისისა და მკურნალობის მიღება, ისინი ცდილობენ მოიპოვონ დაფინანსება. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ მკურნალობის მოცულობა, რომელიც მათ არ აკმაყოფილებთ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, როცა მშობლები კარგად არიან განათლებულები



და დახელოვნებულები ბავშვებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებში, შეიძლება ვარჯიშები სარეაბილიტაციო ცენტრის გარეთაც, ბინაზე ჩაატარონ, რასაც ბინაზე „შემნახველ თერაპიას„ ეძახიან. „მკურნალობის პერიოდში მშობლები ყოველთვის ბავშვებთან არიან და რა თქმა უნდა, იმ ხარისხით და ინტენსივობით ვერ შეძლებენ ბინაზე მკურნალობის ჩატარებას, როგორც ამას პროფესიონალები აკეთებენ, მაგრამ მათ თავისუფლად შეუძლიათ გარკვეული პროცედრების ჩატარება, ე.წ. „შემნახველი თერაპია„ უზრუნველყონ ბინის პირობებში, იმიტომ, რომ არ შეიძლება ასეთი ბავშვების დიდი ხნით სარეაბილიტაციო ღონისძიებების გარეშე ყოფნა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემატუროობას, რეგულარულობას, რომ შედეგები იყოს კარგი. დიდხანს თუ გამოტოვებს ბავშვი ისე, რომ არაფერი ჩაუტარდება, იკარგება მთელი შრომა„, ამბობს გამოცდილი ექიმი.

ცენტრში დანერგილ დისციპლინებს რაც შეეხება, ბავშვებს ძირითადად უტარდებათ ფიზიკური თერაპია, ოკუპაციური თერაპია, მეტყველების თერაპია და ფსიქოლოგიური დახმარება. ფიზიკური თერაპიის პროცედურები არის ყველაზე დიდი რაოდენობით, შედარებით ნაკლებია ოკუპაციური და მეტყველების თერაპიის პროცედურები, ისევე, როგორც ფსიქოლოგიური დახმარების. „თუმცა, არ არის ისე, რომ ყველა ბავშვს ერთნაირად უტარდება განსაზღვრული რაოდენობის პროცედურა კონკრეტული მიმართულებით, მაგრამ ძირითადად მაინც ეს არის მკურნალობის ძირითადი პაკეტი, რაც მე ჩამოვთვალე. ბავშვი ცენტრში ატარებს დღის განმავლობაში 2-3 საათს ყველა ამ პროცედურების ჩასატარებლად მცირედი შესვენებებით", გვითხრა ცენტრის პროგრამების ხელმძღვანელმა.

10-დღიანი მკურნალობის ვაუჩერი შეფასებულია 308 ლარად, ანუ სახელმწიფო ბავშვს 10-დღიან კურსში, რომელშიც შედის ფიზიკური თერაპია, ოკუპაციური თერაპია, მეტყველების თერაპია და ფსიქოლოგიური დახმარება, უხდის 308 ლარს. „რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, ეს არის დარგი, რომელსაც მუდმივად სჭირდება ზრდა. ახალი მეთოდოლოგიები არ უნდა გამოგვეპაროს. ასევე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს უფრო ძლიერი მიდგომები სამეცნიერო მტკიცებულებების თვალსაზრისით. ჩვენ ყოველთვის ვადევნებთ თვალყურს თუ რა ხდება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. გვაქვს პირდაპირი კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან. ცოტა ხნის წინ ჩატარდა ტრენინგები ჰოლანდიელი სპეციალისტების მონაწილეობით და მუდმივად არიან ჩვენთან დასავლელი კოლეგები, რომლებიც გვეხმარებიან თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში", გვითხრა ბატონმა ზაზა კაკუშაძემ და ნევროგანვითარების ცენტრის სავარჯიშო დარბაზებისკენ გამიძღვა. ცენტრში ასევე განთავსებულია სპეციალური საამქრო, სადაც მოთხოვნის შესაბამისად, მზადდება პლასტიკური ორთეზები დეფორმაციების კორექციისათვის, სავარჯიშო საშუალებები, სპეციალური ავეჯი. ორი წელია ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით დაინერგა სავარძელ–ეტლის (ე.წ. საინვალიდო ეტლის) ინდივიდუალური მორგების სერვისი.

### რედაქციისაგან

**ნეირორეაბილიტაციის ცენტრს დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ამ ცენტრში მრავალმა ბავშმა და მოზარდმა გაიარა მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსი და მრავალ მათგანს კარგი შედეგებიც აღენიშნათ. იქ მუშაობენ გამოცდილი, თავისი საქმის ღრმად მცოდნე სპეციალისტები და ბატონ ზაზა კაკუშაძის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს აღწევენ. ვუსურვებთ ამ შესანიშნავ კოლექტივს წარმატებები.**

MEDFM 100.3
პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უსმინეთ ყოველ ხუთშაბათს 17:00 სთ.–დან 18:00 სთ.–მდე
მაია ასაკაშვილის საავტორო გადაცემას
„ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით"

ჩვენ და საზოგადოება

# სარეაბილიტაციო ცენტრი ,,მზის სივრცე“



2015 წლის 15 სექტემბერს ფუნქციონირება დაიწყო სარეაბილიტაციო ცენტრმა ,,მზის სივრცემ'', რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მზის შვილების'' მიერ დაფუძნდა. ორგანიზაციამ პოლონელი სპეციალისტების რეკომენდაციითა და დახმარებით შეიმუშავა სარეაბ-ილიტაციო ცენტრის ევროპულ სტანდარტებზე მორგე-ბული სამუშაო მეთოდოლოგია. სარეაბილიტაციო ცენ-ტრი შეზღუდული შესაძლებლობის და ჯანმრთელობაზე ზრუნვის სპეციალური საჭიროების (Special Healthcare Needs) მქონე ბავშვებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, დღის ცენტრე-ბის ქვეპროგრამა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქო-ნე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებას:

ა) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პირველადი შეფასება;

ბ) განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება;

გ) თვეში ორჯერ განმეორებითი შეფასება. მულტიდიციპლინური გუნდი შედგება სპეციალისტებისგან:

- ა) ექიმი-რეაბილიტოლოგი;
- ა) ფსიქოლოგ-დეფექტოლოგი;
- გ) ოკუპაციური თერაპევტი;
- დ) მეტყველების თერაპევტი;
- ე) ფიზიოთერაპევტი;
- ვ) სპეციალური პედაგოგი;
- ზ) ABA თერაპევტი.



2015 წლის 15 სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე, ცენტრში ქართველ სპეციალისტებთან ერთად იმუშ-ავებენ პოლონეთიდან მოწვეული სპეციალისტების გუნდი: სენსორული ინტეგრაციის სპეციალისტი, ფსი-ქოლოგი, ლოგოპედი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზი-ოთერაპევტი, ABA თერაპევტი.

რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები:

• ბოგდანოვიჩის მეთოდი „კარგი დასაწყისი“. ამ მეთოდის ძირითადი მიზანია ბავშვის ფსიქო-მოტო-რული უნარების განვითარება სიმღერის, სპეციალურად ორგანიზებული თამაშებისა და გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით ვითარდება კითხვისა და წერის შესწავლისათვის სა-ჭირო ფუნქციები (შემეცნებითი, ვიზუალურ-სივრცითი, აუდიო- მეტყველებითი) და ხდება მათი ერთმა-ნეთთან „თანამშრომლობა“ - (პერცეპცია-მოტორიკის ინტეგრაცია;

• არითმეტიკული უნარ-ჩვევების განვითარება გრუშჩიკ-კოლჩინსკის მეთოდით ეხმარება ლოგიკური აზროვნებისა და არითმეტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას;

• ფსიქო-მოტორიკის სტიმულირება შორბორნის მეთოდით მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფსიქო-მოტორიკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების თერაპი-ისათვის. ამ მეთოდის ამოცანაა: საკუთარი სხეულის აღქმა და მართვა; სივრცის აღქმა და მასთან ადაპ-ტირება; სივრცის გაყოფა სხვებთან და შეხების საშუალებით მათთან ახლო კონტაქტის დამყარება.

• შემოქმედებითი ფიზიკური თერაპია ლაბანის მეთოდით მფგომარეობს შემდეგში: შემოქმედებითი ვარჯიშები, რომლის დროსაც ბავშვი პედაგოგის მიერ სიტყვიერად გადაცემულ ვარჯიშებს ასრულებს. ამ მეთოდს მოძრაობის იმპროვიზაციასაც უწოდებენ. აძლიერებს ფანტაზიასა და შემოქმედებითობის უნ-არს - ბავშვები აკეთებენ თავის მიერ მოგონილ მოძრაობებს;

• ABA თერაპია (ბიო-ფსიქო-ემოციური რეაბილიტაცია - გამოყენებით-ქცევითი ანალიზი);

• TEACCH მოდელის ელემენტები, კინეზიოლოგია კნილის მეთოდი, მაკატონის მეთოდი, მუსიკათე-რაპია, ოკუპაციური თერაპია, მულტიმედიური განათლების პროგრამა, მონტესორის მეთოდის ელემ-ენტები, დიდაქტიკური თამაშები, ზღაპრის თერაპია, მეთოდი „პროექტი„, მეთოდი „ხატვა 10 თითით„, მეტყველების აღქმის სტიმულირების თერაპია, ვარჯიშები ბობატის მეთოდით; გამოყენებითი ქცევითი თერაპია, დოგოთერაპია, ჰიპოთერაპია, არტ-თერაპია, საოჯახო მედიცინის ცენტრი - პედიატრის ადაპ-ტრებული მომსახურება, 4 თვეში ერთხელ სტომატოლოგიური გასინჯვა-მომსახურება, 6 თვეში ერთხელ

გაგრძელება →

ვიწრო სპეციალისტების გუნდის (ბავშვთა კარდიოლოგი, ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი, ოტო-რნო-ლარინგოლოგი) მიერ ამბულატორული გასინჯვა.

**სარეაბილტაციო ცენტ რი ,,მზის სივრცე„მდებარეობს მისამართზე:თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 27ბ. საკონტაქტო ტელეფონის ნომრები: 557763400 - ინგა ლოლაძე, 557449581- თეა ჩანადირი 593550450 - ნინო ომანაძე**

**რედაქციისგან:**

***ალნიშნულ სარეაბილიტაციო ცენტრს უკვე პრობლემები გააჩნია, ამ მისამართზე მყოფი დაწესებულების თანამშრომლები, როგორც ჩანს მათ დანახვაზე „ცუდად ხდებიან" და ბენეფიციარებს, რომლებიც აქ სარეაბილიტაციო კურსს გადიან, აიძულებენ გადავიდნენ სხვა დაწესებულებაში.***
***სახეზეა დისკრიმინაციის თვალსაჩინო მაგალითი,მიუღებლობის გულისმომკვლელი სინდრომი, რომელიც ფართო საზოგადოების რეაგირების და განგაშის ზარის შემოკვრის გარეშე არ უნდა დარჩეს.***

# საჯარო ლექცია ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდასაჭერად

*თეიმურაზ მიქიაშვილი*



10 ოქტომბერი ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მშობელთა ორგანიზაციების გაერთიანებამ „მოძრაობა ცვლილებებისათვის„ ორგანიზება გაუკეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის კვირეულს.

კვირეული გაიხსნა 6 ოქტომბერს საჯარო ლექციით, რომელიც ჩატარდა ლიგამუსში, ილიას სახელობის უნივერსიტეტში.




ძალიან საინტერესო იყო იურისტ ლელა გვიშიანის, „მოძრაობა ცვლილებებისათვის„ წარმომადგენლის ნათელა ბახტაძის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლის ნინო ოდიშარიას, სოციალური მუშაკის გიორგი მინასოვის, სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსის ირინა ობოლაძის მოხსენებებები.

ღონისძიებას აგრეთვე დაესწრენ ჯანდაცვის და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, სხვა საჯარო და სამოქალაქო პირები, სფეროს ექსპერტები და სტუდენტები.

საჯარო ლექციაზე ნაჩვენები იყო ორგანიზაციის მიერ მომზადებული მოკლე ვიდეორგოლი, რომელიც სლოგანით „დაინახე, დამინახე, მაღიარე„ მაყურებელს მოუწოდებდა გაიაზრონ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების წინაშე არსებული სირთულეები, აღიქვან ისინი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და თანასწორუფლებიანებად.

მოგვიანებით 10 ოქტომბერს, ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს, „მოძრაობა ცვლილებებისათვის„ გამართავს მსვლელობას მეტრო დელისიდან ასათიანის ქუჩისაკენ, სადაც მდებარეობს ფსიქიატრიული კლიონიკა და ხშირად, ამის გამო, მოიხსენიება უარ-



ყოფით კონტექსტში. მოძრაობის წევრები, პარაორკესტრის ფონზე საზეიმოდ გახსნიან სპეციალურად ამ დღისათვის მომზადებულ სტრიტ არტს.

მსოფლიო ფსიქიკური ჯანმრთელობის დღეს 1992 წლიდან აღნიშნავს. ამ დღის მიზანია ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ძალისხმევის მობილიზება ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდასაჭერად.

საჯარო ლექციის მოდერატორი გახლდათ ქ. თბილისის 198-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი თეონა ყაჭეიშვილი.

# ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

*ლევან ლორთქიფანიძე*
*თსუ-ის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მაგისტრანტი*



**სოციალურ მოძრაობათა ისტორიით დაინტერესებული პირები თავიანთი კვლევების დროს ძირითად ყურადღებას ყველასათვის ცნობილ გამათავისუფლებელ კამპანიებზე ამახვილებენ. მათი შესწავლის საგანს მუშათა, ქალთა, გარემოსდამცველთა, აფროამერიკელთა და პაციფისტთა მოძრაობები წარმოადგენენ. ძალიან ბევრს ავიწყდება, რომ ინკლუზიური და ყველასათვის ხელმისაწვდომი დემოკრატიული მოდელების ჩამოყალიბების საქმეში თავიანთი მნიშვნელოვანი როლი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამოქალაქო გაერთიანებებმაც შეასრულეს. ცხადია, დანარჩენებთან შედარებით მათთვის ორმაგად უფრო რთული გახლდათ საკუთარი პოზიციების გამოხატვა და ინტერესების დაცვა, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს მეოცე საუკუნის უსამართლო საზოგადოებების გარდაქმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობა.**

შშმ პირების პირველი მეტ-ნაკლებად შესამჩნევი სამოქალაქო აქტიურობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიის იმპერიაში მიღებულ კანონებს შეგვიძლია დავუკავშიროთ. მაშინ რაიხსტაგში არჩეულმა მემარცხენე დეპუტატებმა პარლამენტის დღის წესრიგში შრომის ახალი ნორმების შემუშავების საკითხი დააყენეს. სამუშაო დღის ხანგრძლივობის, ადეკვატური ხელფასისა და შრომის პირობების გაუმჯობესების გარდა, მეამბოხე პარლამენტარები სამუშაოს შესრულების დროს დაშავებული პირებისათვის საგანგებო პენსიის დანიშვნას ითხოვდნენ. საკანონმდებლო ორგანოს წევრთა გარდა აღნიშნული ინიციატივის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული პროფკავშირელთა მრავალრიცხოვანი მოძრაობაც, რომლის შემადგენლობაში საკუთარი პოზიციების გამყარებას შშმ მუშებიც ცდილობდნენ. საბოლოოდ, მთავრობამ მოთხოვნათა ნაწილი დააკმაყოფილა (მათ შორის სპეციალური პენსიის დანიშვნის ინიციატივა). კეთილდღეობის ელემენტარული, პირველადი სტანდარტის დროებით დაკმაყოფილების შემდეგ ახალი ინიციატივებისათვის ბრძოლის განახლება ფიზიკურად დაზარალებულმა დასაქმებულებმა ვეღარ მოახერხეს.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების პერიოდში ყველა კონტინენტზე განსაკუთრებით გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა, ჩამოყალიბდა ასობით ვეტერანთა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაშავებულთა გამაერთიანებელი მოძრაობა. შშმ პირების მიერ საკუთარი პოლიტიკური პოზიციების გამყარებისკენ მიმართული საქმიანობა ძირითადად მხოლოდ ამგვარ ორგანიზაციათა მუშაობაში მონაწილეობის მიღებით გამოიხატებოდა.

მეოცე საუკუნის პირველ დეკადებში შშმ პირთა უფლებების დამცველ სამოქალაქო ცენტრებად მშობელთა საინიციატივო ჯგუფებიც მიიჩნეოდნენ, რომლებიც საკუთარი შვილებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ და დამატებითი ფინანსების მობილიზებაზე მუშაობდნენ.

1960-იან წლებამდე შშმ პირებს უფრო სერიოზული და გამოკვეთილად საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლის შესაძლებლობა არ მისცემიათ. უკიდურესად უსამართლო, ნაკლებად ხელმისაწვდომი გარემოს გამო, მასობრივი სოციალური დეპრესიების ფონზე ისინი დიდი ხნის განმავლობაში არ იყვნენ მზად დამოუკიდებელ და გავლენიან ძალად ფორმირებისთვის. შშმ პირები მხოლოდ სხვა მოძ-

რაობებში (მუშათა, ვეტერანთა, მშობელთა) ინტეგრაციის ხარჯზე ცდილობდნენ საკუთარი ინტერესების გამოხატვას.

1960-იანი წლებიდან კი უკვე მთელ მსოფლიოს მოედო დაჩაგრულ ჯგუფთა მასობრივი კამპანიები, რომლებიც თავიანთი სამოქალაქო უფლებების დაკანონებისა და სრულყოფილი პოლიტიკური მონაწილეობისათვის იბრძოდნენ. ქალთა და აფროამერიკელთა ემანსიპატორული მოძრაობა შშმ პირთა ნაწილისათვის საყურადღებო მაგალითად იქცა.

თავდაპირველად, საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველა ტიპის შშმ პირების გამაერთიანებელი მოძრაობები (cross-disability focused) გამოჩნდნენ, რომლებიც აქცენტს ერთ მთავარ მოთხოვნაზე სვამდნენ. პერმანენტული საპროტესტო აქციის მონაწილეები გარემოს ადაპტაციის ლოზუნგით გამოდიოდნენ. მათი მტკიცებით, გარემოს ხელმისაწვდომობის ზრდა თავისთავად შეიძლება გამხდარიყო შრომისა და განათლების უფლებათა რეალიზების წინაპირობა. მათი საქმიანობის პირველი შედეგები ათწლეულის დასრულებისთანავე გახდა თვალსაჩინო - აშშ-მ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების საქმეში. გაჩნდა პირველი აქტები და რეზოლუციები, რომლებიც შშმ პირების გადაადგილების, ტრანსპორტით სარგებლობის პრობლემის მოგვარებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. პირველი ტალღა განსაკუთრებული ღირებულებითი პრინციპებით არ გამოირჩეოდა. მაშინდელი მოქმედებები მეტწილად მხოლოდ საკანონმდებლო შესაძლებლობების გაუმჯობესებას ემსახურებოდა.

შშმ პირთა სოციალური მოძრაობა ახალ ეტაპზე გადაიყვანა სამოქალაქო აქტივიზმის ერთგვარმა ფილოსოფიამ, ფორმამ, რომელსაც „ინდეპენდენტ ლივინგ (IL)„-ს უწოდებენ. მოძრაობის ახალ ეტაპს 60-70 წლების მიჯნაზე საფუძველი ედ რობერტსმა, ბერკლის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ეტლით მოსარგებლე სტუდენტმა ჩაუყარა. მანვე წარმოადგინა ის ფასეულობათა სისტემა, რომელიც შემდგომში მისმა მხარდამჭერმა აქტივისტებმაც გაიზიარეს. რობერტსი ამტკიცებდა, რომ შშმ პირები თავიანთი საქმის საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ და მათ თავად უნდა გამოეჩინათ ინდივიდუალური თუ კოლექტიური ინიციატივები საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად. იგი თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდა საზოგადოების მანკიერი დამოკიდებულების შეცვლას - შშმ პირები უპირველესად აღქმული უნდა ყოფილიყვნენ სრულუფლებიან მოქალაქეებად და არა პაციენტებად, ჯანდაცვის მომსახურებათა მომხმარებლებად. მიუღებელი და დაუშვებელი იყო ადამიანთა თავიანთი იდენტობის მიხედვით გამორჩევა და მათზე არამართლზომიერი მზრუნველობა (პატერნალიზმი). სრულუფლებიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების გზაზე კი გადამწყვეტი მნიშვნელობა, გარემოს ადაპტაციასთან ერთად, სოციალ-ეკონომიკური უფლებების (შრომა და განათლება) რეალიზების საკითხსაც ენიჭებოდა.

IL-მოძრაობა ინტენსიურად მონაწილეობდა საპროტესტო დემონსტრაციებში. მოძრაობის აქტივისტები ხშირად იყვნენ მრავალრიცხვოვანი გამოსვლების ორგანიზატორები. მათი მრავალწლიანი საქმიანობა ორი კონკრეტული შედეგით დასრულდა: 1) 1990 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო მაშინდელი ეპოქისათვის მეტ-ნაკლებად პროგრესული დოკუმენტი Americans With Disabilities Act. კეთილდღეობის შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად მსგავსი ტიპის კანონები მიიღეს ევროპაშიც. 2) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაფუძნდა ედ რობერტსის მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის„ ანალოგიური თვითორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციას ასრულებდნენ. ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი„ გერმანიაში დაფუძნდა. მისი წევრები მხოლოდ შშმ პირები იყვნენ. მათ დააფუძნეს თავიანთი გაზეთი, აწყობდნენ მასობრივ მსვლელობებს თავიანთი ეტლებით, ბლოკავდნენ ქუჩებს, საპროტესტო მოწოდებებით გამოდიოდნენ სხვადასხვა მასშტაბურ ღონისძიებაზე.

როგორია შშმ პირთა სოციალური მოძრაობა დღეს ?

განვითარებულ სამყაროში მდგომარეობა წარსულთან შედარებით დღეს გაცილებით გაუმჯობესებულია. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში თავად მთავრობები ბევრს ცდილობენ გარემოს სრულყოფილად ადაპტირებისათვის, შრომისა და განათლების უფლებების დაცვისათვის. 2006 წელს უკვე თავად გაერომ მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია“, რომელსაც ათობით სახელმწიფო (მათ შორის საქართველოც) შეუერთდა. თუმცა ცხადია, რომ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. შშმ პირთა ემანსიპაციის მისაღწევად უკვე ახალი გამოწვევებია დასაძლევი. დამკვირვებელთა აზრით, მოძრაობის ახალი ეტაპის მთავარი მახასიათებელი მისი აკადემიურ სივრცეში გადანაცვლება გახლავთ. სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებში მასობრივად ეყრება საფუძველი ახალ კვლევით მიმდინარეობებს, რომელთაც „Disability Studies„ უწოდებენ.

სოციალური მოძრაობის კიდევ ერთ თანამედროვე მახასიათებელს კი საქართველოს მსგავსი ქვეყნები განსაზღვრავენ, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ საკანონმდებლო ბაზის, გარემოს ადაპტაციის, შშმ პირთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მონაწილეობის მეოცე საუკუნის დროინდელი უმწვავესი პრობლემები.

სტატია მომზადდა პროექტ „ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ამაღლების„ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის„.

http://www.netgazeti.ge/GE/105/News/50283/

# დიდი მადლობა მასწავლებლებო!

ინგა ლოლაძე



სასწავლო წელი დაიწყო და არ წყდება საყვედურები მასწავლებლებისა და სპეც - პედაგოგების, ზოგადად სკოლის მიმართ. ზოგი მშობელი იძულებულია, მთელი დღე სკოლაში გაატაროს, ზოგი ძიძას ეძებს, ზოგი სპეც - პედაგოგს ეხვეწება, მისი შვილი კლასის მუშაობაში ჩართოს.

მე და ჩემს შვილს ამ მხრივ ძალიან გაგვიმართლა. ნინიკო მე-18 საჯარო სკოლის 1გ კლასის მოსწავლეა.

ჯერ კიდევ ნინოს და ანის სკოლაში რეგისტრაციის პროცესში მივხვდი, რომ სანერვიულო საერთოდ თუ არა, ბევრი არაფერი მქონდა. სკოლის დირექტორის, ქალბატონ თამარ ხორავას დამოკიდებულებამ აღმაფრთოვანა. (ერთ-ერთ სკოლაში სკოლის დირექტორმა კაბინეტიდან გამოსვლაც არ ისურვა, მხოლოდ თავი გამოყო კაბინეტიდან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ადგილები არ მაქვსო მითხრა და კარი მოაჯახუნა). ქალბატონმა თამარმა, თამამად შემიძლია ვთქვა, ჩემთან ერთად გაიარა ის ხანგრძლივი პროცესი, რაც ანის და ნინოს სკოლაში დარეგისტრირებას დასჭირდა. იყო შემთხვევები, მირეკავდა და მახსენებდა, არ დაგაგვიანდეს, ახლა ეს ცნობაა გასაკეთებელი, ახლა ესო. ცნობები და საბუთები კი უამრავი დაგვჭირდა. მადლობა ქალბატონო თამარ!

კლასის დამრიგებელი, ყველაზე თბილი და საყვარელი მარი მასწავლებელი მარიამ ლაკია გაზვიადების გარეშე ვამბობ, გულში ისვამს ჩემს შვილს. გარდა იმისა, რომ სკოლაში, გაკვეთილების პროცესში აქცევს ძალიან დიდ ყურადღებას, მაქსიმალურად ცდილობს ბავშვი აქტიურად ჩართოს კლასის ცხოვრებაში(რაც, მერწმუნეთ, არც თუ ისე ადვილია), თითქმის ყოველ საღამოს მირეკავს (მე ვერ ვბედავ) და ნინოს ქცევებზე, უნარებზე მესაუბრება, ხანდახან რჩევებსაც მეკითხება... ხო, იმასაც ახერხებს ნინიკო საპირფარეშოში გაიყვანოს...

დიდი მადლობა, ნინოს სიტყვებით ვიტყვი, მალი მატალვებელო!

სკოლაში 12 შშმ ბავშვია. არ ყოფილა შემთხვევა მივსულიყავი და ჩემი შვილი უყურადღებოდ დამხვედროდა. გაკვირვებული ვარ, როგორ ახერხებს ორი სპეც-პედაგოგი, ორი უსაყვარლესი გოგონა ლანა ლანა მურჯიკნელი და მაკა ლაბაძე12 ბავშვს თანაბრად გაუნაწილოს ყურადღება ისე, რომ არცერთ მათგანს მათთვის ესოდენ საჭირო ყურადღება არ მოაკლდეს. გულით მუშაობენ ბავშვებთან, მართლა გულით და სიყვარულით მუშაობენ.

მადლობა გოგოებო! მხოლოდ დღეს, ჩემი გადარეული გრაფიკის გამო, მქონდა საშუალება თანაკლასელების დამოკიდებულება მენახა ნინიკოს მიმართ და უბედნიერესი ადამიანი ვარ - ნინი, ნინიკო, ნინი, ნინო - ყველა მხრიდან სითბო, ღიმილი, ხალასი გრძნობა დავინახე.

ბავშვებო, საყვარლებო, დახატულებო, ულამაზესებო, დიდი მადლობა. მსოფლიოში ყველაზე მაგარი ბავშვები ხართ თქვენ!

იკითხეთ ჟურნალი „იმედი +"

# მაინტერესებს, ვის ეხება ამ საკითხის გადაწყვეტა

*ელენე კვარაცხელია*



საბავშვო ბაღში ძიძას ვაყოლებდი ჩემს შვილს, რადგან გამომიცხადეს, რომ ძალიან წუხდებიან და იტვირთებიან. წლების განმავლობაში ვიტანჯე, ცალკე შვილის პრობლემებით, ცალკე საბავშვო ბაღის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ბრძოლით. მერე გადავიყვანე სხვა საბავშვო ბაღში, სადაც ჩემს შვილს უთბილესად ექცეოდნენ და ჩვენი მდგომარეობაც შეიცვალა.

როცა სკოლის ჯერი დადგა, მირჩიეს მე-10 სკოლა და მივიყვანე ბავშვი. აღმოვჩნდი საოცარი პრობლემების პირისპირ, რომელთა გამოსწორებაც ვერანაირი მცდელობით ვერ მოხერხდა: ვერც თხოვნით, ვერც მოთხოვნით, ვერც მუქარით. ამან ჩემზეც იქონია გავლენა და დავითრგუნე, გავნადგურდი, ადამიანად აღარ ვვარგოდი. წარმოვიდგინე 12 წელი სკოლის დერეფანში ფეხზე უნდა ვმდგარიყავი ჩემი შვილის ყარაულობაში და არც მეორე შვილისთვის და არც ოჯახისთვის არ უნდა მიმეხედა. ჩემს დასაქმებაზე ზედმეტი იყო ფიქრიც კი. დირექტორის ნებაზე უნდა მეცხოვრა, რომელმაც არ გაიზიარა ჩვენი მდგომარეობა.

იძულებული გავხდი, რომ სამინისტროსთვის მიმემართა. სამიმისტრომ შემომთავაზა: მოიძიეთ ნებისმიერი საჯარო სკოლა და იქ მივაღებინებთ უპრობლემოდ თქვენს შვილს, მეათე სკოლა არის საპილოტე სკოლა და არ აქვს მეტი რესურსიო.

ღვთის ნებით, სახლის წინ 141-ე სკოლა მაქვს, სადაც გადავიყვანე ბავშვი. ვერ გადმოგცემთ, როგორ ექცევა დიდი თუ პატარა ჩემს შვილს, დირექტორიდან დაწყებული ბავშვებით დამთავრებული. ჩემთან ერთად ხარობენ ლაზარეს წინსვლას და ჩემთან ერთად ლოცულობენ მისი წარმატებისთვის. აქ პედაგოგთა გუნდია, რომელიც ნამდვილად იმსახურებს პედაგოგის წოდებას.

რატომ არის სკოლებში სხვადასხვა მიმღებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა?! თუ კეთილი ნება არ არსებობს, კანონი ხომ უნდა იცავდეს ჩვენს შვილებს?!

ლაზარე რეაბილიტაციის ცენტრში გადის სარეაბილიტაციო კურსს, მაგრამ მოგეხსენებათ, არ არის საკმარისი რაოდენობის საათები. მუდმივად უნდა ვარჯიშობდეს ბავშვი და რადგან ეს აუცილებელია მისთვის, სკოლამ მოინდომა ჩემი შვილისთვის ხელშეწყობა, რომ სპორტის გაკვეთილების დროს ჩატარებოდა ვარჯიში ტრენაჟორის საშუალებით, სარბენ ბილიკზე სიარულის სახით. სკოლამ არ იცის, როგორ მოიძიოს მის შესაძენად თანხა. როდესაც სკოლაში ინკლუზიური სწავლების სამმართველოს წარმომადგენელი შემოვლაზე მოვიდა, მოახსენეს ტრენაჟორის საჭიროების შესახებ, მაგრამ მიიღეს შემდეგი პასუხი: ეგ ჩვენ არ გვეხება.

მაინტერესებს, ვის ეხება და რამდენად ეხება ამ საკითხის გადაწყვეტა? როგორ შეიძლება ამ ტრენაჟორის შეძენა მოხერხდეს, რომ ჩემი შვილისთვისაც სპორტის გაკვეთილები იყოს ისეთივე სასარგებლო და სასიამოვნო, როგორც ის სხვა ბავშვებისთვის არის.

http://www.picgeorgia.com

## პედაგოგიკა

# როგორ ვასწავლოთ ბავშვს აზრის „დალაგებულად“ გადმოცემა და როგორ განვუვითაროთ თხრობის ნიჭი

თხრობისა და ორატორობის ნიჭით ბევრი ვერ დაიტრაბახებს. სამაგიეროდ, ბავშვის თვალსაწიერის გაფართოვება, აზრის გამართულად ჩამოყალიბების უნარის განვითარება თქვენზე, მშობლებზეა დამოკიდებული. კარგად თხრობა და აზრების გადმოცემა ბავშვს თავად უნდა ასწავლოთ.

ადამიანის მეტყველებაზე ბევრად არის დამოკიდებული მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მეტყველება ის მთავარი ხერხია, რითაც ადამიანი საზოგადოებაში თავს იმკვიდრებს, საკუთარ თავს იმიჯს უქმნის, სწორედ მეტყველებით გამოიხატება მისი განათლების დონე. რადგან ბავშვის პირველი თანამოსაუბრენი მშობლები არიან, სწორად მეტყველებაც მათ უნდა ასწავლონ. ცოტა მოზრდილ ბავშვს კი ხშირ-ხშირად უნდა გაუმეოროთ, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის კარგად მეტყველების კულტურა.

გთავაზობთ ბავშვთა ფსიქოლოგების მიერ შემუშავებულ რამდენიმე მარტივ მეთოდს, რომლებიც ბავშვის თხრობის და აზრის გადმოცემის უნარის განვითარებისთვის არის გამიზნული.

1. სთხოვეთ ბავშვს დახატოს რაიმე ამბავი მაგალითად, იმის შესახებ, როგორ გაჩნდა მისი საყვარელი სათამაშო (როგორ იყიდეს, სახლში როგორ მოიტანეს და ა.შ.). ხატვის პროცესში ან მისი დასრულების შემდეგ ბავშვი აუცილებლად დაიწყებს მოყოლას, თუ რა ხატია ფურცელზე. მშობლებმა კი მას კითხვები უნდა დაუსვან.



2. გამოიყენეთ მაგნიტები, ბარათები და სტიკერები მათზე ცნობილი პერსონაჟები ან ცხოველები უნდა იყვნენ გამოსახულნი. რომელიმე მიაკარით მაცივარს და მოიფიქრეთ მის შესახებ ამბავი. ბავშვთან ერთად მოიფიქრეთ ამ ცხოველის თავგადასავალი, ვინ შეხვდა გზაში (ჩართეთ ამბავში სხვა მაგნიტებიც), რა გადახდა. დაე ბავშვმა იფანტაზიოროს. გზადაგზა სიუჟეტის გამრავალფეროვნებაში შეეშველეთ, კითხვები დაუსვით.

3. საბავშვო წიგნები და ჟურნალები ხშირად უკითხეთ ბავშვს საბავშვო წიგნები და ჟურნალები, თუმცა ბოლომდე არა - ყველაზე საინტერესო ადგილზე გაწყვიტეთ კითხვა. სთხოვეთ ბავშვს, თვითონ დაასრულოს ამბავი. ეს ვარჯიში ყველაზე კარგად ავითარებს წარმოსახვით აზროვნებას.

4. მოიგონეთ ბავშვთან ერთად ახალი წიგნის სიუჟეტი

აიღეთ ცარიელი რვეული და ბავშვს პერსონაჟები დაახატინეთ. პარალელურად მათ შესახებ რაღაც ამბები მოიფიქროს. ეს ადვილი არ არის და ეს წიგნი ერთ-ორ დღეში ვერ შეიქმნება. თავიდან უფროსებიც უნდა დაეხმაროთ, მთავარია, მიზანი ბავშვმა გააცნობიეროს და თავისი წვლილი მაქსიმალურად შეიტანოს.

ბევრი სავარჯიშო თქვენთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეასრულოთ - სეირნობისას ან მგზავრობისას. სპეციალისტები ამჩნევენ, რომ ყოველდღიური გონების ვარჯიში ლოგიკურ აზროვნებას, მეხსიერებას და შემოქმედებით უნარებსაც ავითარებს. როცა მშობელი აქტიურობს და ბავშვს გონებისა და ინტელექტის განვითარებისთვის სხვადასხვა მასალას აწვდის (სავარჯიშოები, წიგნები, საბავშვო ჟურნალები), ასეთ ბავშვებს ეს პრაქტიკა ყოველთვის ეტყობათ. თანატოლებზე უკეთ განვითარებულებიც არიან და სკოლაშიც კარგად სწავლობენ, რადგან უკეთ უღებენ ალღოს სასწავლო პროცესს.

http://www.mshoblebi.ge/

# გაიცანით პაბლო: პირველი მასწავლებელი დაუნის სინდრომით



**(ინტერვიუ)**

ესპანელი პაბლო პინედა პირველი ევროპელი მამაკაცია დაუნის სინდრომით, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო. მალაგის კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო ფილმი „მეც„, სადაც ის მთავარ როლშია. Die Welt - ისთვის მიცემულ ინტერვიუში პაბლო საკუთარ ცხოვრებაზე ყვება, მათ შორის საკმაოდ პიკანტურ დეტალებზეც.

Die Welt: როგორ გაიგეთ ამ სინდრომის არსებობაზე?

პაბლო პინედა: ამის შესახებ მე მასწავლებელმა მომიყვა. მაშინ 7 წლის ვიყავი და მან დაუნის სინდრომის გენეტიკაზე მიამბო. მე ვკითხე, სულელი ვარ? მან მიპასუხა, რომ არა. მან ამიხსნა, რომ ყველა სხვა ბავშვივით უნდა მევლო და მესწავლა სკოლაში. სხვა დანარჩენს უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა.

Die Welt: დღეს ამ სინდრომის მქონე ბავშვების 85% ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობს

პაბლო პინედა: კი ახლა ეს ასეა, მაგრამ აქამდე ასე არ ხდებოდა. მე ამ თაობის პირველი წარმომადგენელი ვარ

გაგრძელება →



Die Welt: როგორი მოგონებები გაქვთ სკოლიდან?

პაბლო პინედა: სკოლა-საუკეთესო დროა. ეს იყო საინტერესო, მაგრამ ამავე დროს მწვავე გამოცდილება. განსაკუთრებით რთული იყო მოზარდობის პერიოდი, როცა მე საკუთარ სხეულში არსებობაც კი მიჭირდა

Die Welt: რატომ აირჩიეთ მასწავლებლის პროფესია?

პაბლო პინედა: თავიდან ადვოკატობა მინდოდა, შემდეგ ჟურნალისტობა. ჩემმა პროფესორმა მითხრა: „ამ სფეროში დიდი კონკურენციაა, ისწავლე და ასწავლე„. დღეს მე ვამაყობ ჩემი არჩევანით, დიდი სიამოვნებით ვმუშაობ ბავშვებთან ერთად

Die Welt: მთელი დღე ასწავლით?

პაბლო პინედა: 6-7 საათი დღეში, საღამო თავისუფალი მაქვს. ვსწავლობ მუსიკასთან ერთად. ვიყოთ გულწრფელები, დაუნის სინდრომით ადამიანებს ყველაფრის მიღწევა რთულად უწევთ, მაგრამ მუშაობით ყველაფერი შესაძლებელია

Die Welt: რას ნიშნავს იყო პირველი ადამიანი ამ სინდრომით, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო?

პაბლო პინედა: ეს დიდი პასუხისმგებლობაა. მე ბევრ მშობელს ვიცნობ, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები ამ სინდრომით. მათ სჭირდებათ მუდმივი გამხნევება და იმის თქმა, რომ მათი ბავშვიც შეძლებს ამას. მედია ხშირად სენსაციას ეძებს და ხდება, რომ დღის მანძილზე 30 ჯერ მირეკავენ. ეს გადაჭარბებული ყურადღება უკვე მაღიზიანებს

Die Welt: გააქვს სამსახურის შემოთავაზება?

პაბლო პინედა: ჯერ არა. ჩავაბარებ გამოცდას და ვიმედოვნებ, რომ მალაგის მუნიციპალიტეტში შევძლებ მუშაობას.

Die Welt: რა მთავარი პრობლემა აქვთ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს საზოგადოებასთან კომუნიკაციაში?

პაბლო პინედა: საზოგადოების დიდი ნაკლია ის, რომ რეალობას ვერ ეგუებიან. საზოგადოებას უყვარს სტატუსების მინიჭება, ჰომოსექსუალი, ემიგრანტი. მათ უყვართ მითითება განსხვავებულ ადამიანებზე და ამ დროს ამ ადამიანებთან ურთიერობა არ იციან. სწორედ საზოგადოება ახდენს ამ ადამიანების იზოლირებას.

Die Welt: რას ფიქრობთ აბორტის თემაზე იმ შემთხვევაში, თუ ორსულობისას ნაყოფს დაუნის სინდრომი დაუდგინდა?

პაბლო პინედა: მე აბორტის წინააღმდეგი ვარ. არა მორალური შეხედულებების გამო, არამედ ადამიანური მიდგომების გამო. მშობლები, რომლებსაც განსხვავებული შვილები ჰყავთ, უფრო ტოლერანტულები არიან.

Die Welt: რა არის მნიშვნელოვანი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების აღზრდისას?

პაბლო პინედა: ის, რომ მშობლები უნდა ესაუბრონ ბავშვებს. ყველაზე დიდი მტერი სიჩუმეა. ასეთ ბაშვებს არ უნდა ჰქონდეთ კომპლექსები. მათ მუდმივად სჭირდებათ სულიერი გამხნევება, სტიმული რათა ისწავლონ და დამოუკიდებლად არსებობა შეძლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობელს ძნელია დაარქვა მშობელი.

http://fortuna.ge/news_inner.php?news_id=17296

# დაიცვათ ჩვენი საარჩევნო უფლებები

***თამაზ მუქერია***

არჩევნების პროცესის სრულყოფილად ჩატარება ნებისმიერი ქვეყნისთვის დემოკრატიულობის ტესტია. იმაზე, თუ რამდენად ორგანიზებულად და ობიექტურად ჩაატარებს ხელისუფლება არჩევნებს, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი და მომავალი. არჩევნების სრულყოფილად ჩატარება კი მის საყოველთაობას გულისხმობს, ანუ ამ პროცესში ყველას- მათ შორის მოწყვლადი ფენების ჩართულობის უზრუნველყოფასაც.

განსაკუთრებით სპეციფიურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა საარჩევნო უფლების რეალიზაციის პრობლემა. ეს დამოკიდებულია ადაპტურ გარემოზე, ინფორმაციის და გადაადგილების საშუალებების ხელმისაწვდომობაზე და სხვა. ამ საკითხის გადასაწყვეტად საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დაფინანსებით საქართველოს უსინათლოთა კავ-



შირი ახორციელებს „უსინათლოთა საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობის„ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს შშმ პირთა ამ სეგმენტის- უსინათლო ადამიანებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას არჩევნებში ჩართვისთვის, მათი ცნობიერების ამაღლებას, საინფორმაციო ველის გაზრდას.

როგორც ცნობილია 2015 წლის 31 ოქტომბერს ტარდება საგარეჯოსა და მარტვილის რეგიონებში შუალედური საპარლამენტო და საკრებულოს არჩევნები. პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური ტრენინგების ჩატარება, საარჩევნო პროცესის იმიტირება, რათა უსინათლო ამომრჩევლებს ჰქონდეთ სრულყოფილი წარმოდგენა არჩევნების შესახებ. რაც მთავარია, შშმ პირებს მიეცეთ საშუალება სრულფასოვნად მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, თავი იგრძნონ სრულფასოვან ადამიანებად.

პროექტი შშმ პირთა ინტეგრაციის შესახებ სერიოზულ პროცესს უწყობს ხელს. მასში ჩართული არიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. პროექტის ავტორების- საქართველოს უსინათლოთა კავშირის სოციალური და ბიზნეს პროექტების სამსახურის დიდი გამოცდილება ამ სფეროში მისი წარმატების სერიოზული გარანტიაა.

# მნიშვნელოვანი ცვლილება კანონში - პენსიონერები სამსახურში რჩებიან!



**პირველად საქართველოს ისტორიაში ძალაში შევა ცვლილება, რომლის მიხედვით 65 წელს მიღწეული პირები, საპენსიო ასაკის გამო აღარ განთავისუფლდებიან სამსახურიდან, ხოლო დეკრეტული შვებულების გახანგრძლივებასთან ერთად ანაზღაურებაც გაიზრდება - 600 ლარიდან 1000 ლარამდე (ზედა ზღვარი). გარდა ამისა, დეკრეტული შვებულებით ისარგებლებენ საჯარო სამსახურის არამარტო შტატიანი, არამედ უშტატო თანამშრომლებიც.**

**ხსენებული კანონპროექტის ინიციატორი გახლავთ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე, რომელმაც მოახდინა კიდეც მისი რატიფიცირება 17 სექტემბერს გამართულ სხდომაზე.**

**Mediacity-ს დეტალებზე პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე:**

- დავიწყებ იმით, რომ 64-ე მუხლში განისაზღვრა დეკრეტული შვებულების ოდენობა ხელფასის ოდენობით, რაც ადრე არ იყო განსაზღვრული. კერძოდ, თუ მანამდე განსაზღრული იყო ზედა ზღვარი 600 ლარზე, ჩემი ინიციატივით განისაზღვრა და გაითვალა ჯერ კიდევ 2013 წელს 1000 ლარი. მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ შრომით კოდექს და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ჩანაწერი არ იყო. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ ის, რომ 84-ე მუხლში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც დეკრეტული შვებულებით ისარგებლებენ საჯარო სამსახურის არა მარტო შტატიანი, არამედ შტატგარეშე თანამშრომლებიც, რაც მანამდე არ იყო და მესამე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - 108 მუხლიდან ამოვიღეთ საჯარო სამსახურიდან ასაკის გამო მოხელის განთავისუფლების ნორმა. დაუშვებელია ასაკის გამო დისკრიმინაცია და ჩემი კატეგორიული მოთხოვნა სწორედ ამაში გამოიხატებოდა, რომ თუ მოხელე საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც კვალიფიციურად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, იგი სამსახურიდან არ უნდა განთავისუფლდეს. ჩემი შენიშვნა იქნა გათვალისწინებული და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ პენსიონერები იქნებიან დაცული საკანონმდებლო დონეზე, ანუ ისინი ასაკის გამო სამსახურიდან აღარ განთავისუფლდებიან.

**- და 70, 80 წლამდე შეუძლიათ იმუშავონ?**

- დიახ. თუ მანამდე 65 წლის შემდეგ ისინი თავისუფლდებოდნენ, ამჯერად ასაკი არ იქნება პირობა იმისა, რომ მხოლოდ ასაკის გამო იქნას პენსიონერი განთავისუფლებული.

**- როდის შევა კანონი ძალაში?**

- 2017 წლის 1 იანვრიდან.

http://mediacity.ge/photos/news/big–3367795888.png

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

**ვინ ითვლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად?**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების 2006 წლის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში.

**რა უფლებები აქვთ შეზღუდული შესაძლებლო ბის მქონე პირებს?**

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ„ გაეროს 2006 წლის კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვა პირთა თანაბრად აქვთ:

- სიცოცხლის უფლება
- კანონის წინაშე თანასწორობის უფლება
- მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება
- პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება
- წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელისაგან თავისუფლების უფლება
